# სარბიელი

სპორტული გაზეთი    შაბათი 27 დეკემბერი 2003 №248 (2019)    ფასი 50 თეთრი


# 2003 ხალხის წელიწადი



იმედით განათებული ღამეული გზა,
თბილისკენ დაძრული მთელი საქართველო;
წუთები, რომელმაც გარდატეხა ისტორიის...
კადრი, რომელიც ეკადრებოდა
საქართველოს

**მომდევნო სარბიელი 9 იანვარს გამოვა**

**მომავალი წლიდან სარბიელი ორშაბათსაც გამოვა**

# ჩივაძე ფედერაციის კაპიტანია



დაახლოებით ისეა– ფედერაციის სახელმწიფო მინისტრი ვალერი ჩოლარია და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ჩივაძე

უჩვეულოდ ხანმოკლე გამოდგა ფეხბურთის ფედერაციის გუშინდელი, წლის ბოლო აღმასკომი — სხდომა ნახევარ საათში დამთავრდა.

აღმასკომს 21 წევრიდან 15 ესწრებოდა. სხდომას თავმჯდომარეობდა აფხაზეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე, განსახილველ-დასამტკიცებელი საკითხი კი სულ ორი-სამი იყო. საინტერესო და მნიშვნელოვანი აი, ესაა: ფედერაციის დაპატიმრებული პრეზიდენტის არყოფნაში ფედერაციის ხელმძღვანელობა ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძეს დაევალა. მანვე 1 თებერვლამდე აღმასკომს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ეროვნული, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებების მწვრთნელები, ასევე უზრუნველჰყოს საქართველოს ნაკრების კვიპროსის ტურნირზე მონაწილეობა.

გუშინდელმა აღმასკომმა დაამტკიცა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის კალენდარი, რომელსაც ოთხშაბათის „სარბიელში“ გაეცნობოდით. პრეზიდენტ ჟორდანიას დაპატიმრების გამო კი აღმასკომმა შეშფოთება და სინანული გამოთქვა. მისი საქმის ძიება-განხილვაში მონაწილე თანამდებობის ყველა პირს სთხოვა, სიმართლის დასადგენად გამოიჩინონ მაქსიმალური ობიექტურობა და პროფესიონალიზმი.

ახლა კი ის, რაც, შესაძლოა, ჩვენი ფეხბურთის საგაისო მოვლენათაგან უმთავრესად იქცეს: თითქმის გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ფრანგი ანრი მიშელი დაინიშნება. ამის თაობაზე გუშინდელი აღმასკომის მერე გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლერი სულაბერიძემ თქვა, ჩვენ კი შემდეგ ცალკეც გაგვესაუბრა...

# ანრი მიშელი თოვლის პაპაა?
## ფრანგი მწვრთნელი თითქმის ჩვენია

— უკვე დიდი ხანია, ანრი მიშელთან მისი აგენტის, თურქ ბაირამ თუთუმლუს შუამავლობით მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. აგენტი გუშინ ჩამოვიდა თბილისში და მოლაპარაკება გავაგრძელეთ. მწვრთნელთან საბოლოო შეთანხმებას ბევრი ალარაფერი უკლია, ახლა თავად ანრი მიშელს უნდა შევხვდეთ და კონტრაქტის დეტალები დავაზუსტოთ. თუმც, აქვე ვიტყვი, მიშელთან მოლაპარაკება თუ ჩაიშალა, რისი ალბათობაც ძალიან მცირეა, ფედერაციას აქვს უცხოელი მწვრთნელის მოწვევის სათადარიგო ვარიანტიც...

**— რა სათადარიგო ვარიანტია? რომელ მწვრთნელზე ფიქრობთ?**

— ამის თქმა ახლა, როცა მოლაპარაკება მიშელთან გვაქვს, არაკორექტული იქნება.

**— რამდენად რეალურია ეს ვარიანტი?**

— ჯერჯერობით ჩვენ ანრი მიშელზე ვფიქრობთ. როცა საკითხი გადაწყდება, მერე ყველა გაიგებს, ვის ეხებოდა მეორე თუ სხვა ვარიანტებიც. დაფარული არც კონტრაქტის ფინანსური მხარე დარჩება, ჩვენ გვსურს, რომ ფედერაციის საქმიანობა გამჭვირვალე იყოს.

**— მიშელს როდის უნდა შეხვდეთ?**

— აგენტთან უკვე მოვილაპარაკეთ და მწვრთნელი საკუთარი თვითმფრინავით, ალბათ, 1 იანვარს გვესტუმრება, 3-ში კი უკან გაფრინდება. მიშელის მოსაზრებები ჩვენსას ბევრ საკითხში ემთხვევა. ის ახლა იმიტომ ჩამოდის, რათა დარწმუნდეს, რომ საქართველოში სტაბილური ვითარებაა, მშვიდობაა და მუშაობისთვის ყველა პირობა ექნება.

**— მოკლედ, მიშელი საქართველოში საარჩევნოდ ჩამოდის...**

— ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს ქვეყნის ახალ პრეზიდენტს და მთავრობის წევრებს მერაბ ჟორდანია წარუდგენს.

**— შესაძლოა, რომ მიშელთან კონტრაქტი მისი ჩამოსვლისთანავე გაფორმდეს?**

— არა, 1-3 იანვარს მიშელთან საბოლოო მოლაპარაკებას გავმართავთ. ჩვენი სურვილია, რომ ანრი მიშელს თავად მერაბ ჟორდანია შეხვდეს. თუ ეს მოხერხდა, ხომ კარგი, თუ არა, კონტრაქტის გაფორმებას 15-20 იანვრისთვის ვაპირებთ. თებერვალში, კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი წაიყვანს. ყველა შემთხვევაში ასე იქნება.

**— ერთიც: ჩვენთან ადრე მომუშავე ჰოლანდიელი ბოსკამპი ქართულ მენტალიტეტს ვერ შეეწყო. მსგავსი პრობლემა მიშელს არ ექნება?**

— რომ გითხარით, მიშელისა და ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევამეთქი, სწორედ ამას ვგულისხმობდი. ის ფრანგია, ბოსკამპი კი ჰოლანდიელი იყო.

**— მოკლედ, ჩავთვალოთ, რომ ანრი მიშელი 99 პროცენტით ნაკრების მწვრთნელია?**

— 90 პროცენტი ვთქვათ, უფრო აჯობებს.

**კობა ინასარიძე**





**ანრი მიშელი 28.10.1947**

**საფეხბურთო კარიერა**

1964-1966 საფრანგეთის მეორე დივიზიონი, „პროვანსი“
1966-1982 პირველი დივიზიონი, „ნანტი“
58-ჯერ ითამაშა საფრანგეთის ნაკრებში

**სამწვრთნელო კარიერა**

1982-1984 საფრანგეთის ოლიმპიური ნაკრები
1984-1988 საფრანგეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელია, 1986 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიკავა მესამე ადგილი
1989-1990 საფრანგეთის ჭაბუკთა ნაკრები
1990-1991 ჩაიბარა „პარი სენ ჟერმენი“
1994 კამერუნის ეროვნული გუნდი ათამაშა აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე
1995 საუდეთი, „ალ ნასრი“
1998 მაროკოს ეროვნული გუნდი ათამაშა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე
წვრთნიდა ტუნისის ნაკრებსაც, ახლა მუშაობს მაროკოში, წლეულს „რაჯა კასაბლანკას“ მოაგებინა აფრიკის თასი

---

26 დეკემბერი

**ნახევარფინალები**

**თსუ 2:5 ნაციონალი**

0:1 ბაქრაძე (5), 1:1 სეფერთელაძე (11), 1:2 დარასელია (17), 2:2 სეფერთელაძე (26), 2:3, 2:4 დარასელია (43, 44), 2:5 ბაქრაძე (45)

**GWS 1:6 მაისი**

0:1 ჯაკობია (17), 0:2 დეკანოსიძე (25), 1:2 ჩხუტიაშვილი (28), 1:3 ჯაკობია (35), 1:4 ბურდული (36), 1:5 დეკანოსიძე (43), 1:6 ჯაკობია (46)

**დღეს მესამე ადგილისთვის**

12.30 GWS — თსუ

**ფინალი**

16.30 მაისი — ნაციონალი

# ნაციონალები ამაც ფინალში არიან

**უხვგოლიანი** გამოდგა „ბენდელას თასის“ გუშინდელი ნახევარფინალური მატჩები. ორივე თამაშში 7-7 გოლი გავიდა და სპორტის სასახლეში მისული გულშემატკივარი თვალსასეირო სანახაობის მოწმე გახდა.

„მაისმა“, მოლოდინისამებრ, შანსი არ დაუტოვა GWS-ს. დეკანოსიძემ, ჯაკობიამ და დინამოელებმა შეთამბეჭდავად აგორეს ბურთი და უპრობლემოდ გატეხეს მეტოქე. ჰეთ-თრიქით გამოირჩა ლაშა ჯაკობია, დეკანოსიძემ დუბლი იკმარა, მაგრამ ერთი ისეთი გოლი შეაგდო ცენტრიდან, ტურნირის ორგანიზატორებმა დაუყოვნებლივ გადაწყვიტეს — საუკეთესო გოლი ეს იქნებაო. დეკანოსიძეს ალბათ მთავარი ჯილდოც არ ასცდება — ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი, რაკილა მასზე ეშხიანად არავის უბურთავია წლევანდელ „ბენდელას თასზე“.

პირველი მატჩისგან განსხვავებით, გაცილებით დაძაბული იყო თსუ — „ნაციონალის“ მატჩი. სტუდენტთაგან ოთხი საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრების წევრია და რაღა გასაკვირია, რომ თსუ ყველაზე უკეთ თამაშობდა დარბაზის ფეხბურთს. მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე 2:2 იყო, ინიციატივა სტუდენტებისა იყო, მომენტს მომენტზე ქმნიდნენ ზვიად კუპატაძის კართან, მაგრამ მოულოდნელად დაღლა დაეტყოთ თსუ-ელებს და ამით ყველაზე კარგად ვიტალი დარასელიამ ისარგებლა. ნაციონალმა დინამოელმა ერთწუთიან ინტერვალში ორჯერ დახვრიტა მეტოქე და ბოლოს ბაქრაძესაც გაატანინა.

ნახევარფინალში წაგებულები დღეს მესამე ადგილისთვის ითამაშებენ, „ნაციონალი“ — „მაისის“ ფინალური მატჩიც დღესვე, ხუთის ნახევარზე დაიწყება.

გუშინვე გაირკვა ბავშვთა ფინალური წყვილიც. გადამწყვეტ მატჩში „ირაო“ და „დინამო“ შეხვდებიან. პირველმა გუშინ პენალტების სერიით „იმედს“ სძლია, „დინამომ“ კი „სპარტაკს“ 3:0 მოუგო.

**პაატა კვანტალიანი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# თუნდაც გაღაჰი! აი, რა დღეშია გერმანია

*გერმანელი შტეფან კლოსი „გლაზგო რეინჯერსში“ ყველაზე ტიტულოვანი კაცია — ამ მეკარემ საკლუბო დონეზე მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლება — დორტმუნდული „ბორუსიას“ რიგებში კლოსი ბუნდესლიგის, ჩემპიონთა ლიგის და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი შეიქნა.*

*კლოსის გადაბირება „რეინჯერსს“ ერთი მილიონი გირვანქა დაუჯდა ხუთი წლის წინ — მეკარისთვის ეს არცთუ პატარა თანხაა, მაგრამ შენაძენმა გაამართლა — გერმანელმა გოლკიპერმა ენდი გორამი უპრობლემოდ შეცვალა „რეინჯერსში“.*

*შტეფანს შოთა არველაძის დახმარებით ჩამოვართვით ინტერვიუ. თბილისი-გლაზგო — ასეთ პირობებში რესპონდენტის კარგად „დამუშავება“ არცთუ იოლია, თუმც ცდას წინ რა უდგას? თანაც ჰერ კლოსი სიტყვაძუნწი სულაც არ ყოფილა*




# კლოსს უყვარს ჰიცფელდი, ტონი, ზარები და არ აზვიადებს ხიზანიშვილს

**— 32 წლის ხართ და ეს მეკარისთვის არცთუ ბევრია — როგორ ფიქრობთ, ეროვნულ ნაკრებში თამაშის შანსი აღარ შეგრჩათ?**

— არა, ამის არანაირი შანსი არ მაქვს. თავს საკმაოდ მხნედ ვგრძნობ, მაგრამ ოლივერ კანი ისე დამაჯერებლად დგას მიუნხენის „ბაიერნის“ და ნაკრების კარში, რომ... მე ასეთი რამისგან საკმაოდ შორს ვარ.

**— 1996 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ბერტი ფოგტსმა საინგლისო სიაში შეგიყვანათ, თუმც ალბიონზე არ წასულხართ — დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება ძალიან მძაფრი იყო?**

— წინასაინგლისო შეკრებაზე გუნდთან ერთად ვიყავი, მაგრამ ერთ-ერთ ვარჯიშზე თითი მოვიტეხე და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მიღმა დავრჩი. თუ რას განვიცდიდი მაშინ, ამაზე ლაპარაკი ახლა არ ღირს. ანდრეას კეპკემ კი ინგლისში დიდებულად ითამაშა.

**— თუმც შემდეგ ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგეთ — რა იყო „დორტმუნდის“ აღზევების მთავარი ფაქტორი?**

— განსაკუთრებული არაფერი — „დორტმუნდს“ ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელები და მწვრთნელი ჰყავდა — ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა გუნდის წარმატებები. თუ „დორტმუნდის“ მაშინდელ შემადგენლობას გადავავლებთ თვალს, ჩვენ ამას ნამდვილად ვიმსახურებდით.

**— „დორტმუნდს“ მაშინ ოტმარ ჰიცფილდი წვრთნიდა — რას იტყოდით ამ პიროვნებაზე და მწვრთნელზე?**

— ვისთანაც მიმუშავია, მათგან ჰიცფილდი საუკეთესოა. ის საუცხოო ორგანიზატორი და დიდებული ადამიანია, რომელსაც აქვს განსაკუთრებული უნარი — საკუთარ თავს არასდროს კარგავს.

**— ანდრეას კეპკესი და ოლივერ კანის არასდროს გშურდათ? მიგაჩნიათ, რომ მათ ჩრდილში მოექცით?**

— მიღწევები და ტიტულები ერთია, მაგრამ მათი მაინც არასდროს მშურდა. ისინი კარგი პიროვნებები არიან.

**— ვინ მიგაჩნიათ 90-იანი წლების საუკეთესო გერმანელ ფეხბურთელად?**

— რა თქმა უნდა, ლოთარ მათეუსი, 90-იან წლებში სხვა გერმანელი ფეხბურთელებიც ბრწყინავდნენ, მაგრამ მხოლოდ მათეუსმა შეძლო 18-20 წელი უმაღლეს დონეზე თამაში.

**— ბავშვობაში ვინ იყო თქვენი კერპი?**

— ტონი შუმახერი — მას თავისებური, განსაკუთრებული მომხიბვლელობა გააჩნდა. ბედნიერი ვარ იმით, რომ მასთან მუშაობამაც მომიწია „დორტმუნდში“ — ტონისგან ბევრი რამ ვისწავლე.

**— დღეს კი გერმანული ფეხბურთი ძალიან ღარიბია ვარსკვლავებით — რა დაემართა საფეხბურთო გერმანიას?**

— ძალიან რთული საკითხია, იმედია, მალე სიტუაცია გამოსწორდება და ისეთი ფეხბურთელები მაინც გამოჩნდებიან, როგორიც თუნდაც მიხაელ ბალაკია.

**— სანამ შოთა არველაძეს და ზურაბ ხიზანიშვილს გაიცნობდით, ქართულ ფეხბურთზე რა წარმოდგენა გქონდათ?**

— ქართულ ფეხბურთზე წარმოდგენას ვერ შევიქმნიდი, რადგან მხოლოდ შოთას და აჩის ვიცნობდი, უფრო შოთას — მას ორჯერ შევხვდი „დორტმუნდის“ და „აიაქსის“ მატჩებისას და შოთამ ერთხელაც ვერ გამიტანა.

**— ხიზანიშვილზე რას იტყოდით, თამაშის დროს ხშირად გიწევთ მისთვის კარნახი?**

— არ ვაზვიადებ — ხიზანიშვილი დიდი ტალანტია და აქვს ჩინებული შანსი, დიდი ფეხბურთელი გახდეს.

**— არ გსურთ, საქართველოში ტურისტად ჩამოხვიდეთ?**

— რატომაც არა? მაგრამ, თქვენთან ჯერ არავის დავუპატიჟებივარ. მოკლედ, ვნახოთ.

**— „რეინჯერსის“ ფანებმა „DER GOALLIE“ ანუ კარისკაცი შეგარქვეს — მოგწონთ ეს თიკუნი?**

— „რეინჯერსის“ ფანები ასე რომ მომმართავენ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით, მსიამოვნებს ასეთი უშუალობა.

— როგორც გერმანელი, შობა-ახალწელს როგორ აღნიშნავთ?

— როგორც კი 24 დეკემბერს დაბინდდება, ახლობლებთან და მეგობრებთან მივდივართ, ზარს ვაჟღარუნებთ და საჩუქრებს ვარიგებთ, მოგვიანებით სუფრას მივუსხდებით — ასეთ დროს მარტო ყოფნა არ გვიყვარს, მეგობრები ერთად ვართ.

— მეკარეობის გარდა კარგად კიდევ რისი კეთება შეგიძლიათ?

— შემიძლია, კარგი მეოჯახე ვიყო.

— როცა ბავშვი იყავით, სანტა კლაუსისგან რა საჩუქრის მიღებაზე ოცნებობდით?

— ბუცების და ბურთის.

**დავით თავართქილაძე**



„რეინჯერსს“ ყველაზე ტიტულოვანი კაცი კარში უყენია

*2004 წლის 17-25 იანვარს საქართველოს ოქროს მეტალზის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ მოსკოვში „თანამეგობრობის თასზე“ ითამაშებს. ან ივო შუშაკის გუნდი სამწლიანი განშორების შემდეგ უბრუნდება სსრკ-ს არცთუ პრესტიჟულ ნაშიერს.*

*ოთხ ჯგუფად დაყოფილი 16 გუნდი თასისთვის ბრძოლას მეოთხედფინალებით გააგრძელებს, ანუ ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გადის. შემდეგ ნახევარფინალი და ფინალია.*

*„თანამეგობრობის თასის“ 2004 წლის გათამაშებას ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი გახსნიან.*

*შევახსენებთ, ტურნირის ბოლო გამარჯვებული მოლდოვური „შერიფია“.*

**A ჯგუფი**

ცსკა (რუსეთი), გომელი (ბელარუსი), რეგარ-ტადაზი (ტაჯიკეთი), ფახთაქორი (უზბეკეთი)

17 იანვარი
ცსკა – გომელი
რეგარ-ტადაზი – ფახთაქორი

18 იანვარი
ფახთაქორი – ცსკა
გომელი – რეგარ-ტადაზი

20 იანვარი
ცსკა – რეგარ-ტადაზი
გომელი – ფახთაქორი

**B ჯგუფი**

დინამო (თბილისი, საქართველო), სკონტო (ლატვია), ირტიში (ყაზახეთი), შაშტიკი (ყირგიზეთი)

17 იანვარი
სკონტო – ირტიში
ქაშტიკი – დინამო (თბ)

18 იანვარი
დინამო (თბ) – სკონტო
ირტიში – ქაშტიკი

20 იანვარი
ირტიში – დინამო (თბ)
სკონტო – ქაშტიკი

**C ჯგუფი**

დინამო (კიევი, უკრაინა), ნისა (თურქმენეთი), ფლორა (ესტონეთი), პიუნიკი (სომხეთი)

17 იანვარი
დინამო (კ) – ნისა
ფლორა – პიუნიკი

18 იანვარი
პიუნიკი – დინამო (კ)
ნისა – ფლორა

20 იანვარი
ფლორა – დინამო (კ)
პიუნიკი – ნისა

**D ჯგუფი**

შერიფი (მოლდოვა), კაუნასი (ლიტვა), აზერსუნი (აზერბაიჯანი), რუსეთის ახ. ნაკრები

17 იანვარი
შერიფი – კაუნასი
აზერსუნი – რუსეთი

18 იანვარი
აზერსუნი – შერიფი
რუსეთი – კაუნასი

20 იანვარი
კაუნასი – აზერსუნი
შერიფი – რუსეთი

**მეოთხედფინალი**

21 იანვარი
1. D1 – C2, 2. B1 – A2,
3. C1 – D2, 4. A1 – B2

**ნახევარფინალი**

23 იანვარი
2 – 3, 1 – 4

**ფინალი**

25 იანვარი
„ოლიმპიისკი“. 14 საათი

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# დათუნაშვილის ილიადა

*ილია დათუნაშვილი, ქალარა, თუმც დღესაც სპორტული იერის კაცია. თავის დროზე ის „დინამოს" იმ თაობის მოთამაშე იყო, რომელმაც ქართულ ფეხბურთში დიადი ეპოქა შექმნა. ძველი თაობის გულშემატკივრები მის სახელს უკავშირებენ „დინამოს" არაერთ ბრწყინვალე გამარჯვებას. ახალი თაობის გულშემატკივრებმა კი უფრო ის იციან, რომ ილია დათუნაშვილმა ტაშკენტის ოქროს მატჩში უმნიშვნელოვანესი გოლები გაიტანა, ერევნის „არარატი" კი ხუთი გოლით გაისტუმრა.*

**გიორგი დარჯანია**



„დინამო" — „ტორპედო" ძველ „დინამოზე". ამ მატჩში თბილისელთა ფორვარდ ილია დათუნაშვილს წინ ქუთაისელთა მცველი რევაზ ძოძუაშვილი დაუდგა

1964 წელს თბილისის „დინამომ" და მოსკოვის „ტორპედომ" საკავშირო ჩემპიონატში ერთნაირი ქულები დავაგროვეთ, არადა, შეგვეძლო, ერთი ქულით გადაგვესწრო. ორი ტურით ადრე ქუთაისში გვქონდა თამაში. ყველას ეგონა, რომ ქუთაისელები იმ თამაშს მოგვაგებინებდნენ. მაგრამ თავი მოიკლეს, რადგან თვითონ ვარდებოდნენ. სხვათა შორის, თამაშის წინ ქუთაისელებმა გვითხრეს, არ ჯობია, ჩვენ მოვიგოთ და არ გავვარდეთ, თქვენს ჩემპიონობასო. ამაზე როგორ დავთანხმდებოდით. ქართველი გულშემატკივარი ამ გამარჯვებას 30 წელი ელოდა და ძლივს შანსი მოგვეცა.

მოკლედ, არც ისინი თმობდნენ რამეს და არც ჩვენ. თამაში დაიწყო და გაგვიტანეს. კიდევ კარგი, მატჩის მიწურულს როგორღაც გავათანაბრეთ.

ქუთაისიდან, გუჯა ცინცაძე იყო, ცხონებული შოთა იამანიძის ბავშვობის მეგობარი, იმის მანქანით წამოვედით მე და შოთა. გზაში ძალიან ვნერვიულობდით, „ტორპედო" კიევის „დინამოს" ხვდებოდა მოსკოვში და რომ მოეგო, ერთი ქულით გადაგვისწრებდა. ბოლო ტურს კი არ წააგებდა და ჩვენი ჩემპიონობის შანსი აღარ იყო. რადიორეპორტაჟი იყო მოსკოვიდან და დაბოღმილები ვუსმენდით. რიკოთის უღელტეხილს რომ მოვაღწიეთ, თამაშის დამთავრებამდე 5 წუთი რჩება



და ამ დროს აცხადებენ, „დინამოს" კარში პენალტი დაინიშნაო. შემოვირტყი თავში ხელი, შოთას ვუთხარი, დავილუპეთ-მეთქი. იმედი აღარ მქონდა. შოთაც, რასაკვირველია, ძალიან ღელავდა, მაგრამ, ეგებ, ბანიკოვმა აილოსო, ინატრა. ისე ყველაფერი აგიხდეთ. ბანიკოვმა ის პენალტი აიღო და ავტეხეთ მე, შოთამ და გუჯამ მანქანაში ხვევნა-კოცნა. ბოლო ტურში ჩვენ „შინიკს" მოვუგეთ, „ტორპედომაც" მოიგო და დამატებითი მატჩი დაინიშნა.

თამაში 18 ნოემბერს დაინიშნა ტაშკენტში. ამ მატჩისთვის, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორც მოვემზადებოდით. ორი კვირით ადრე კრწანისის რეზიდენციაში დაგვაბინავეს, სავარჯიშოდ კი სტადიონზე დავყავდით. ტაშკენტში თამაშამდე ოთხი დღით ადრე გავფრინდით. მთელმა ქალაქმა გაგვაცილა და უამრავი გულშემატკივარი გამოგვყვა. მაშინ ტაშკენტში დღეში ერთი რეისი იყო, ტუ 104 დაფრინავდა, 100-კაციანი. ისეთი ამბავი იყო, რომ 5 რეისი დანიშნეს.

ტაშკენტში ძალიან კარგად დაგვხვდნენ. მასპინძლობა „ფახთაქორის" ხელმძღვანელობამ გაგვიწია. გვკითხეს, სასტუმროში გირჩევნიათ დაბინავება თუ ქალაქგარეთ ბაზაზეო. ჩვენმა მწვრთნელმა, გავრილ კაჩალინმა თქვა, ბაზაზეო. უამრავი გულშემატკივარი ჩამოვა თბილისიდან და სასტუმროში ფეხბურთელებს არ მოასვენებენო. იქვე ბაზაზე ვვარჯიშობდით, სტადიონზე მხოლოდ მატჩის წინა დღეს წაგვიყვანეს.

თამაშის წინ გასახდელში კაჩალინს რაიმე განსაკუთრებული არ უთქვამს, თქვენც იცით, რასაც ნიშნავს ეს თამაში, მეტი რაღა უნდა გითხრათო. რა თქმა უნდა, ვიცოდით, ეს ჩვენი თაობის ბოლო შანსი იყო.

თამაში დაიწყო და, მეათე თუ მე-15 წუთზე ნაღდი ოფსაიდიდან გაგვიტანეს. მსაჯმა გოლი ჩათვალა. ამ დროს ვხედავთ, რომ თანამსაჯს ალამი აწეული აქვს. იამანიძე მსაჯს მივარდა და თანაშემწისკენ გაახედა. რუბენისი თანამსაჯთან მივიდა, ვითარება გაარკვია და გოლი გააუქმა.

მერე მოსკოველებმა მაინც გაგვიტანეს. თამაშის მერე ცხონებულმა ბასა ლოლობერიძემ გვითხრა, კინაღამ გავგიჟდი, კაჩალინს ისე გაუხარდა, გოლი რომ გავუშვითო. ვიფიქრე, მოგზავნილი ხომ არ არის ეს კაციო. უკითხავს, შტო ვი დელაეწე, გავრილ დიმიტრიჩო. ამაზე კაჩალინს უპასუხია, ჩვენები შებოჭილები არიან და გოლს რომ გაუშვებენ და უკან დასახევი გზა მოეჭრებათ, მერე თუ ათამაშდებიანო. რომ ვუფიქრდები, კაჩალინი მართალი იყო.

გავუშვით და მართლა ავთამაშდით. მერე იყო, რომ შევყარეთ და შევყარეთ ბურთები.

ჩემს გატანილ პირველ გოლს რა დამავიწყებს. კუთხური ჩავაწოდე, პირდაპირ ახლო ძელთან ჩავახვიე. მეკარე გამოვარდა და ისევ კუთხურზე მოიგერია. ისევ იმნაირად ჩავაწოდე. მეკარეც ისევ წინ გამოვარდა და მოიგერია. მესამედ რომ მოვემზადე ჩასაწოდებლად, ვიფიქრე, ასე უთავბოლოდ როდემდე უნდა ვაწოდო-მეთქი და შორეულ ძელთან ჩავახვიე. მეკარე ისევ ახლო ძელთან ჩაწოდებას ელოდა, წინ წამოვიდა და როცა მიხვდა, ბურთი საითაც მიდიოდა, უკვე გვიანი იყო.

დამატებით დროში მეორე გოლი ისევ მე გავიტანე. მიშა მესხი თავისებურად შევარდა საჯარიმოში და დამიგორა. ბურთს ფეხის მირტყმის მეტი არაფერი უნდოდა. მერე მიშამ გაიტანა. მცველმა მეკარეს დაუგორა ბურთი და მიშამ აწაპნა. მეოთხე კი პენალტით გავიტანეთ. იამანიძე წააქციეს.

აი, ასე გავხდით ჩემპიონები, რაც ჩვენს წინა თაობებს არ აღირსეს. ხომ იცით, როგორც იყო, ჩემპიონები აუცილებლად მოსკოვის გუნდები უნდა გამხდარიყვნენ. ის ამბავი გავიხსენოთ, 53-ში როგორ წაართვეს უკვე მოპოვებული ჩემპიონობა „დინამოს". მე ის ამბავი პირადად არ მახსოვს, მაგრამ თავად მოვესწარი, როგორ წაგვართვეს საბჭოთა კავშირის თასი 1960-ში.

მაშინაც „ტორპედოს" ვხვდებოდით და ბალტიისპირელებს უნდა ემსაჯათ. ჩამოვიდნენ მოსკოვში ეს მსაჯები და გააბრუნეს უკან, რუსი დაგვინიშნეს. იმ თამაშში ტყუილი პენალტიც დანიშნეს ჩვენს კარში და თამაშგარედან გატანილი გოლიც ჩათვალეს. რა უნდა გვექნა? სხვათა შორის, ტაშკენტშიც არ უნდოდათ ჩვენი ჩემპიონობა. თამაშის მერე მსაჯთა ოთახში მაშინდელი საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე მოშკარკინი შევიდა და რუბენისს ტყავი გააძრო, ის პირველი გოლიც უნდა ჩაგეთვალა და იამანიძეზე პენალტი არ უნდა დაგენიშნაო. თვითონ რუბენისმა გვითხრა ეს ამბავი. მგონია, რომ რაკი ხრუშჩოვი ახალი ჩამოგდებული იყო, იმიტომ ვერ გაბედეს ტაშკენტში ჩვენი ბოლომდე გაწირვა.

თამაშის მერე განსაკუთრებული ზეიმი არ გვქონია, უბრალოდ, დრო არ გვქონდა. მაშინვე ბაზაზე დავბრუნდით, ბარგი ჩავალაგეთ და აეროპორტში წავედით. პირველად სწორედ ტაშკენტის აეროპორტში ვიგრძენით, რამხელა სიხარული მივანიჭეთ ქართველ გულშემატკივარს.

თბილისში გვეგონა თავი, მთელი აეროპორტი ქართველებით იყო სავსე. ჩვენ სპეცრეისით მოვფრინავდით და ყველას ჩვენი თვითმფრინავით უნდოდა მგზავრობა. რამდენიმე გულშემატკივარმა ნაცნობობით მოახერხა კიდეც ჩვენთან ჩაჯდომა. იქამდე, აეროპორტის შენობაში რომ შევედით, რესტორანიც ქართველებით იყო გადაჭედილი. ჯემალ ზეინკლიშვილს ვიღაც ნაცნობმა დაუძახა რესტორნიდან და ისიც შევიდა. კონიაკს სვამდნენ და ჯემალს მიაწოდეს, ერთი ჭიქა დაგვილიეო. ჯემალი ერთი ჭიქის კაცი იყო?! ოფიციანტს 11 ჭიქა მოატანინა, თქვენ თქვენი სახელით უნდა აღდეგრძელოთ „დინამო", მე კიდევ მთელი გუნდის სახელით სათითაოდ უნდა დავლიო ჩვენი გამარჯვებისაო. ჰოდა, მიჰყვა ასე, სერგო კოტრიკაძით დაიწყო და მიშა მესხით დაამთავრა. როგორია, ზედიზედ 11 100-გრამიანი ჭიქით კონიაკის დალევა?! მოკლედ, როგორ გამოიყვანეს რესტორნიდან და ჩასვეს თვითმფრინავში, არ ახსოვდა. აქ რომ ჩამოვფრინდით, მაშინ გაიღვიძა.

თბილისში დახვედრის აღწერა ხომ სიტყვით შეუძლებელია. როგორც მითხრეს, მესამე მასივამდე ყოფილა მანქანების კოლონის ბოლო. გამოფხიზლებულმა ზეინკლიშვილმა ბუცები მოისროლა ხალხში და ატყდა ტაციაობა. მე კი გვარიანი შიში ვჭამე.

თვითმფრინავი რომ დაეშვა, სადაც უნდა გაჩერებულიყო, იქამდე ვერ მივიდა, ასაფრენ ზოლზეც ხალხი იდგა. ძლივს მოაღწია ტრაპმა. ჩამოვედი და ამიტაცეს ხელში და ისე მოვყავართ. ამ დროს მესმის, ვიღაცამ დაიძახა, დათუნაშვილს ის ფეხი უნდა მოვტეხო და სახლში წავიღო, გოლები რომლითაც გაიტანაო. ვიფიქრე, მართლა რამე არ დამმართონ-მეთქი. ჩემმა ძმაკაცმა მერაბ ყალიჩავამ მიშველა, როგორღაც მომიტაცა და ახლა სამთავრობო გასასვლელი რომ არის, იმ შენობის ფანჯრიდან გადამაძვრინა.

ტაშკენტის ფინალის გარდა ჩემი გოლებიდან „არარატთან" გატანილ ხუთ გოლს იხსენებენ ხშირად.

„არარატთან" მატჩები ყოველთვის დიდი მოვლენა იყო ჩვენთვისაც და იმათთვისაც. სომხები 1959-ში გადმოვიდნენ „ა" ჯგუფში და იმის მერე ერთ თამაშსაც არ ჩაუვლია აურზაურის გარეშე.

სხვათა შორის, ჩვენი პირველი თამაში ჩაიშალა. 59-ში ერევნიდან იმდენი ხალხი ჩამოვიდა თბილისში, სტადიონთან ტევა არ იყო. მაშინ ჩინური მაკინტოშები იყო მოდაში და უბილეთო ხალხი ბილეთებში ცვლიდა. მახსოვს, ერთმა სომეხმა ბილეთში მოტოციკლიც კი გაცვალა. მაგრამ ბილეთი ყველას როგორ შეხვდებოდა?! ჰოდა, თამაშის წინ სტადიონთან მისულმა ამდენმა ადამიანმა რომ იხუვლა, ვინ გააჩერებდა და მოედანზე შეიჭრნენ. იმათი იქიდან გამომყვანი არავინ იყო და თამაში ჩაიშალა. მოგვიანებით, როცა, როგორც იქნა, ვითამაშეთ, მიშა მესხმა სამი გოლი გაიტანა. ასე დაიწყო ჩვენი დაპირისპირების ისტორია.

ის თამაში, 1966 წლის ნოემბერში 5:0 რომ მოვიგეთ, რაღაც უცნაური გამოდგა. პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა. მეორე ტაიმში კი, რომ იტყვიან, ილბალი მწყალობდა. ხუთიევჯერ ისეთ პოზიციაში აღმოვჩნდი, არ გამეტანა, შეუძლებელი იყო. მახსოვს, პირველი გოლი რომ შევაგდე, ტაბლოს ავხედე და მეორე ტაიმის მეოთხე წუთი იყო. მეხუთე გოლი კი 27-ე წუთზე გავიტანე, ანუ ხუთი გოლი 23 წუთში. ისე, მეექვსეც უნდა გამეტანა. მეკარე მოტყუებული მყავდა და წინ ცარიელი კარის მეტი არაფერი იყო. ბურთს ფეხი მოვუქნიე და ამ დროს არ გამოხტა საიდანღაც ილიადი? დამასწრო დარტყმა და ძელს მოახვედრა. გავეკიდე, რა გააკეთე, შე უნამუსო, ეს-მეთქი. აქეთ მომდო შარი, აბა, მარტო შენ უნდა გაიტანო გოლებიო?!

იმ თამაშის მერე ხალხს შაყირის საშუალება მიეცა. ერევანში ბავშვებს აშინებდნენ, დაიძინე, თორემ დათუნაშვილი მოვაო. მერე ვიღაცები ტელეფონის წიგნში თბილისელი სომხების ნომრებს ნახულობდნენ, ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, ალო, დათუნაშვილის ბინააო? იმ საღამოს კი ერევნის მატარებლის ვაგონებს საღებავით დააწერეს 5:0. იცით რატომ? ოთხი წლით ადრე ერევანში 1:4 წავაგეთ და იქაურებმა თბილისის მატარებელს ცარცით მიაწერეს ეს ანგარიში. სანამ მატარებელი თბილისში ჩამოვიდა, ცარცით ნაწერი თითქმის აღარ ეტყობოდა, ჩვენიანების საღებავით დაწერილს კი მთელი კვირა აცლიდნენ. იმასაც მეუბნებოდნენ, ერევნის ტირებში შენი სურათები აქვთ ჩამოკიდებული და იმას ესვრიანო. ჭორი იქნებამეთქი, ვპასუხობდი. მაგრამ ჩემი უმცროსი მეგობარი და მეზობელი გია ზენაიშვილი იმ დროს ჯარში იყო ლენინაკანში და რომ ჩამოვიდა, დამიდასტურა, მართლა ჰქონდათ ტირებში შენ სურათი გამოფენილიო.

ფეხბურთი ეგეთი თამაშია. მე გულში წყენა არ დამრჩენია. იმედი მაქვს, არც ჩვენს სომეხ მეგობრებს.



ილია დათუნაშვილი ფეხბურთიდან 1968 წელს წავიდა. დიდი თავდამსხმელი საქართველოს სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავკაცმა გიორგი სიხარულიძემ გააცილა



# ვინ რამდენი? უეფამ ნულიდან დაიწყო

*წლის განმავლობაში ბევრი ღირშესანიშნავი ამბავი მოხდა. უეფამ ისინი ერთად მოაქუჩა, მათგან ყველაზე ფასეულები ამოარჩია და ქვემოთ სწორედ მათ გთავაზობთ*

**0** — ამდენჯერ წააგო სომხეთის „პიუნიკმა" ჩემპიონატის 28 შეხვედრაში და ცხადია, ჩემპიონი გახდა.

**3** — ამდენი გოლი გაუტანეს „უტრეხტს" „ალკმაარის" ფეხბურთელებმა ოქტომბრის მატჩში, დაწყებიდან 5 წუთში

**12** — მოსკოვის „დინამოს" ნახევარმცველი ევგენი ხარლაჩოვი ერთადერთი ფეხბურთელია რუსეთში, რომელსაც ქვეყნის 12-ვე ჩემპიონატში ერთი გოლი მაინც გაუტანია

**12** — ნორვეგიულმა „რუსენბორგმა" ზედიზედ მე-12 ჩემპიონობა მიითვალა

**13** — ლატვიის „სკონტომ" ახალი მსოფლიო რეკორდი გაჩარხა. ქვეყნის ჩემპიონატი მეცამეტედ მოიგო

**13** — „გალათასარაის" მცველი ბიულენთ ქორქმაზი მე-13 ფეხბურთელია, ვისაც 100-ზე მეტი საევროთასო მატჩი მოუგროვდა. გარდა ამისა, ბიულენთი რეკორდის ავტორიც გახდა — ეროვნული ნაკრების მაისურა 93-ჯერ მოირგო

**17** — ჰოლანდიის ნაკრების 17-მატჩიანი წაუგებელი სერია სექტემბერში ჩეხეთთან შეწყდა

**20** — ინგლისის ნაკრებში სტივენ ჯერარდმა 20-ჯერ ითამაშა და ჯერარდიან ინგლისს არასოდეს წაუგია

**22** — ამდენი პენალტი შეასრულეს ნამატჩევს „არსენალმა" და „როტერჰემმა" ინგლისის ლიგის თასის ფინალში გამარჯვებულის გამოსავლენად

**29** — მადრიდის „რეალმა" ამ სეზონში პრიმერადივიზიონი 29-ედ მოიგო

**36** — ამდენი გაიტანა რაულმა ესპანეთის ნაკრების მაისურით და ფერნანდო იეროს (31) გადაასწრო.

**40** წელი და 6 თვე — ამ ხნის იყო დონატო, როცა „დეპორტივოს" შემადგენლობაში ბოლო მატჩი გამართა და პრიმერადივიზიონში მოთამაშეთა შორის ყველაზე უხუცესი ფეხბურთელი გახდა

**45** — სომხური „ბანანცის" ფორვარდმა არა აკოპიანმა 27 მატჩში 45 გოლი მიითვალა და 9 ჰეთ თრიქი შეასრულა

**95** — ჯილდოების რაოდენობით მალტაში „სლიმა" დაწინაურდა, რომელსაც ჩემპიონობა და ქვეყნის თასი ერთად 95-ჯერ მოუგია. „სლიმას" ერთი ჯილდოთი „ფლორიანი" ჩამორჩება

**100** — ფრანკ დე ბური მარტში პირველი ჰოლანდიელი გახდა, რომელმაც ნაკრების შემადგენლობაში მე-100 მატჩი გამართა

**100** — 2002-03 წლების სეზონის ბოლოს „ევერტონი" პირველი კლუბი შეიქნა, რომელმაც ინგლისის უმაღლეს ლიგაში ერთი საუკუნე გაუვარდნელად გაატარა

**100** — ოქტომბერში ფერნანდო კოუტუმ ნაკრების მაისურით მე-100 მატჩი ითამაშა

**100** — ლატვიური ლიეპაის „მეტალურგმა" 28 შეხვედრაში 100 გოლი გაიტანა

**111** — საფრანგეთის ნაკრების რეკორდსმენი ახლა უკვე მარსელ დესაია, რომელმაც დიდიე დეშანს (104) გადაასწრო

**118** — მალტელმა დავიდ კერაბოტმა ნაკრების შემადგენლობაში 118-ჯერ ითამაშა და ქვეყნის რეკორდის ავტორი გახდა

**174** — ამდენი გოლი დაუგროვდა მალტური „ჰამრიკნის" ფორვარდ სტეფან სულტანას ეროვნულ ჩემპიონატებში და მან ტონი ნიჰოლას შედეგი გააუმჯობესა.

**200** — თურქეთის ჩემპიონატებში ჰაქან შუქურმა მე-200 გოლი მიითვალა. „გალათასარაის" ფორვარდს თანჟუ ჩოლაკის რეკორდის (240) მოხსნა სურს, საამისოდ კი სულ მცირე, ორი სეზონი კიდევ დასჭირდება

**299** — ზაპოროჟიეს „მეტალურგის" მცველმა ალექსანდრ ჩიჟევსკიმ 299-ე მატჩი გამართა

**325** — ვოლგოგრადის „როტორის" ნახევარმცველმა ვალერი ესიპოვმა რუსეთის ჩემპიონატებში 325 შეხვედრაში ითამაშა და ამ მაჩვენებლით იგი ჯერჯერობით მიუწვდომელია

**501** — სერია A-ში ყველაზე მეტი მატჩი (501) ჯანი რივერას უთამაშია, მაგრამ მისი მიღწევა წლეულს პაოლო მალდინიმ გაიმეორა

**720** — პაოლო მალდინი „მილანის" შემადგენლობაში ფრანკო ბარეზის მიერ გამართულ მატჩთა რაოდენობასაც შესწვდა

**884** — „შტუტგარტის" მეკარე ტიმო ჰილდებრანდს ამდენი წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვია



პაოლო მალდინი

**1000** — 66 წლის კარლო მაცონემ სერია A-ში, როგორც მწვრთნელმა, 30 ნოემბერს შეგირდები მეათასედ გაიყვანა მოედანზე.

**1000** — 2003 წლის აპრილში დევიდ სიმენი კარში მეათასედ ჩადგა

**1000** — სექტემბერში „დეპორტივოსთან" ჩემპიონთა ლიგაში გამართული მატჩი პსვ-სთვის ევროთასებზე საიუბილეო გამოდგა

**1297** — ამდენი წუთის განმავლობაში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს მეტოქის კარში გოლი არ გაუტანია

**70 125** — სექტემბერში მაყურებელთა დასწრების მხრივ თურქეთის ახალი რეკორდი დამყარდა — „გალათასარაი" — „ფენერბაჰჩეს" სანახავად 70 125 ქომაგი მივიდა

**160 000 000** — რომან აბრამოვიჩმა „ჩელსის" ამ რაოდენობის ევრო დაახარჯა



ტიმო ჰილდებრანდი

# 2003

# უიღბლოდ შობილის იღბლიანი გარდაცვალება

ესეც 2003! წელიწადი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატის გარეშე, წელიწადი, რომელსაც ჩვენთვის თავი რაიმე საგანგებოთი უნდა დაემახსოვრებინა, თორემ ბუნებისგან დაჩაგრულად შობილს მეხსიერებაში დალექვაც არ ეღირსებოდა. აბა, სად ის წელიწადი, რომელიც თუნდაც უნიჭო მუნდიალს მოგვიწყობს და სად ჩვეულებრივი, 2003-ის ნაირი.

და შეძლო 2003-მა ისტორიაში ღირსეულად შესვლა? პასუხი თქვენთვის მოგვინდია. ვიღაცისთვის ალბათ შეძლო, ვიღაცისთვის ვერა. ჩვენ, უბრალოდ, უმთავრესი საფეხბურთო მოვლენების გახსენებას შევეცდებით. თუ რამ გამოგვრჩა, ისიც თქვენ მიამატეთ




დევიდ ბექჰემი წლეულს „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „რეალში" გადავიდა — ჯოჯოხეთს მუგუზალი აკლდაო. გადასვლას წინ დიდი ორომტრიალი და მკითხაობა უძღოდა, საბოლოოდ კი ყველაფერი იმ ფერად დასრულდა, ამ ფოტოებზე დევიდს და მის ცოლს ვიქტორიას პიჯაკებად რომ აცვიათ.






ხუან ლაპორტა კი ზაფხულზე იმიტომ აირჩიეს „ბარსელონას" პრეზიდენტად, რომ კატალონიელებს დევიდ ბექჰემს ჰპირდებოდა. შემდეგ ლაპორტა პრეზიდენტად ეკურთხა და კატალონიელებს რონალდინიო უყიდა, ესეც გეყოფათო და ცნობისთვის: ამ წელიწადს „ბარსამ" შინ 20 წელიწადში პირველად წააგო „რეალთან".

მიუნხენის „ბაიერნმა" ჰოლანდიელი როი მაკაის ეშხით ერთგული ჯოვანი ელბერი „ლიონს" მიჰყიდა. შემდეგ მოხდა ისე, რომ ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრამ „ლიონი" „ბაიერნთან" ერთ ჯგუფში შეჰყარა და ელბერმაც შურისძიების ეშხით ძველ გუნდს გოლი შეუგდო.








2003 წელი ტრაგიკულიც გამოდგა — კონფედერაციათა თასის ერთ-ერთ შეხვედრაში კამერუნელი მარკ ვივიენ ფოე მოედანზე გარდაიცვალა.

და რას ნიშნავს ეს? ფეხბურთში დატვირთვებმა უკვე ზღვარს გადაამეტეს თუ საბრალო ფოეს ჯანმრთელობამ ვერ გაუძლო ამდენს?

ხოლო ფრანგი მეკარე გრეგორი კუპე მარკ ვივიენს „ლიონში" თამაშის დღეებიდან იცნობდა და ამიტომაც ტირის.








ბოლო წლებში მოხდა ისე, რომ თურქებს (საფეხბურთო ამბავში) ინგლისელები შესძულდათ და თუკი სადმე ამ ორი ქვეყნის გუნდი გადაეყრება ერთმანეთს, მოედანზე თუ არა, მოედანს გარეთ საშინელი ჩხუბი ტყდება. ჰოდა, 2003-ში თურქთა ნაკრებს ინგლისელთა ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრი გადამწყვეტი მატჩი ერგო სტამბოლში. იქ, აი, ამ ფოტოზე აღბეჭდილ ბექჰემ-ალფაის გინებას გასახდელში 50-კაციანი ომი მოჰყვა...
მერე კი, პლეი-ოფში გამოვიდა ლატვია და ის თურქეთი დაიფრინა.
ლატვია მეორე პოსტსაბჭოური ქვეყანა იქნება ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

2003-ის ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველმა, რიო ფერდინანდმა ვარჯიშის შემდეგ მოშარდვის ნაცვლად აჟექის მაღაზიისკენ გაუტია და 8 თვიანი დისკვალიფიკაციითაც დაისაჯა — დოპინგ-ტესტი არ უნდა დაგვიწყებოდაო. ამით ინგლისის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ვეღარ დაეხმარება.





2003-ში ევროპამ ყატარამდე ისეთი გზა გაკვალა, რომ ეფენბერგს, გვარდიოლას, ბატისტუტას და ამგვარი ბევრი ვარსკვლავების მოწონებული. არაფრის კეთებაში მილიონები... როგორია?!



იუვენტუსელმა ჩეხმა პაველ ნედვედმა „რეალთან“ შეხვედრაში ყვითელი ბარათი ძალიან იგლოვა, მის გამო ჩემპიონთა ლიგის ფინალი გამოტოვა. შემდეგ კი გამოხდა ხანი და ნედვედი ევროპაში წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ის რომ ყოფილიყო, „იუვე“ ფინალს ხომ მოიგებდაო.



## ინგლისი

### პრემიერლიგა. XVIII ტური

**მანჩესტერი 3:2 ევერტონი**

1:0 ბათი (9), 1:1 ნევილი (13ს.კ.), 2:1 კლებერსონი (44), 3:1 ბელიონი (68), 3:2 ფერგიუსონი (90)
მანჩესტერი: ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი (ჯემბა-ჯემბა 72), ოში (სქოულზი 50), კ. რონალდო, ბათი, კლებერსონი, კ. ფორჩუნი, ფორლანი, ბელიონი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, სტაბსი, ანსუორთი, ნეისმიტი, ტაი, გრაველსენი, ლინდეროტი (ჯეფერსი 63), კილბეინი, რუნი (მაკფადენი 70), კ. კემპბელი (დ. ფერგიუსონი 63)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: რუნი, ჯეფერსი
მსაჯი: დინი
67 642 მაყურებელი

**არსენალი 3:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 კრადოკი (13ს.კ.), 2:0, 3:0 ანრი (20, 89)
არსენალი: ლემანი, კ. ტურე, ს. კემპბელი, სიგანი, კლიჩი, ლიუნგბერგი (ედუ 71), ვიეირა, პარლოუ, პირესი (ალიადირი 71), ანრი, ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, ლუჟნი, კრადოკი, ბატლერი, ნეილორი, კამერონი, ინსი, რაე, კენედი, ა. კამარა (სტარიჯი 85), მილერი (ნიუტონი 76)
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
გაფრთხილება: ალიადირი, ვიეირა, ბატლერი, რაე, ინსი, ნეილორი, ლუჟნი
მსაჯი: დოუდი
38 003 მაყურებელი

**ჩარლტონი 4:2 ჩელსი**

1:0 ჰრეიდარსონი (1), 1:1 ტერი (10), 2:1 ჰოლანდი (35), 3:1 იოჰანსონი (48), 4:1 იუელი (53), 4:2 გუდიონსენი (73)
ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, პერი, ჯ. ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, პარკერი, იუელი, გ. სტიუარტი (კონჩესკი 77), დი კანიო (კ. პაუელი 87), ჯ. იოჰანსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ჩელსი: კუდიჩინი, გ. ჯონსონი, ტერი, დესაი, ბრიჯი, გრონკიაერი (გუდიონსენი 46), ლამპარდი (ჯერემი 65), მაკელელე, ჯ. კოული (გალასი 82), მუტუ, ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: პარკერი, გრონკიაერი
მსაჯი: პოლი
26 768 მაყურებელი

**ლივერპული 3:1 ბოლტონი**

1:0 ჰიიპია (30), 2:0 სინამა-პონგოლე (47), 3:0 შმიცერი (54), 3:1 პედერსენი (85)
ლივერპული: კირკლანდი, ოსტემობორი, ბისკანი, ჰიიპია, რიისე, დენი მერფი, ჰამანი, ჯერარდი, კიუელი (დიუფი 66), შმიცერი (ლე ტალეკი 79), სინამა-პონგოლე (ჰესკი 66)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ტომე, ჩარლტონი, რ. გარდნერი, ნოლანი, ფრანდსენი, კამპო (ბა 51), ოკოჩა (პედერსენი 51), ჯორკაეფი (იანაკოპულოსი 51), კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ფრანდსენი, ჰანტი
მსაჯი: უინტერი
42 987 მაყურებელი

**ლესტერი 1:1 ნიუკასლი**

1:0 დიკოვი (67), 1:1 ამბროზი (90)
ლესტერი: უოქერი, კერტისი, ტეტჩერი, ჰაუი (მ. ელიოტი 16), ჯ. სტიუარტი (დავიდსონი 71), მაკკინლი, იზეტი, შიმეკა, სკოუკროფტი, დიკოვი, ლ. ფერდინანდი
მწვრთნელი: მიკი ადამსი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი (ამბროზი 85), ობრაიენი, ბრამბლი, ბერნარი, სოლანო, ჯენასი, სპიდი, რობერი, შირერი, ლუა ლუა (ჩოპრა 86)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: ფოი
32 148 მაყურებელი

**ლიდსი 0:0 ასტონ ვილა**

ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, დაბერი, კილგალონი, ჰარტი, პენანტი (ლენონი 73), ა. სმიტი, ბეტი, მატეო (ბაკე 64), ვიდუკა, მილნერი
მწვრთნელი: ედი გრეი
ასტონ ვილა: სორენსენი, დილანი, მელბერგი, დაბლინი, ჯ. სამუელი, ჰენდრი (ვასელი 66), ბერი, გ. მაკკანი, უიტინგემი, პ. ანხელი, ს. მური (ჰიცლსპერგერი 66)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: დაბლინი, უიტინგემი
მსაჯი: ბენეტი
38 513 მაყურებელი

**პორტსმუთი 2:0 ტოტენჰემი**

1:0, 2:0 ბერგერი (52, 68)
პორტსმუთი: ჰაპენაარი, ბ. ჟივკოვიჩი, პრიმუსი, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, სტოუნი, შერვუდი (რ. ჰიუზი 78), სმერტინი (მეთიუ ტეილორი 90), ბერგერი, შერინგემი, იაკუბუ (რობერტსი 84)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ტოტენჰემი: კელერი, კარი, ე. გარდნერი, რიჩარდსი, ტარიკო, ჯექსონი, პოიეტი (პოსტიგა 61), კინგი, დალმა (გ. რიკეტსი 69), კანო (ზამორა 85), რობი კინი
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
გაფრთხილება: შერვუდი, ტარიკო
მსაჯი: დანი
20 078 მაყურებელი

**ფულემი 2:0 საუთჰემპტონი**

1:0, 2:0 საჰა (19, 63პ)
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, ნაითი, გომა, ბონისელი (ჰარლი 23), ინამოტო, კლარკი, ბოა მორტე, მალბრანკი, ჯეტუ, საჰა
მწვრთნელი: კრის კოულმენი
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ჰიგინბოთემი, მარსდენი, ნ. მაკკანი (ა. დელგადო 73), პრატონი, ტელფერი, ბიტი, ორმეროდი (ფილიპსი 51)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: სვენსონი, პრატონი
მსაჯი: გალაჰერი
16 767 მაყურებელი

**ბლექბერნი 2:2 მიდლსბრო**

1:0 ბაბელი (3), 1:1, 1:2 ჟუნინიო პაულისტა (31, 51), 2:2 ბაბელი (90)
ბლექბერნი: ფრიდელი, ბაბელი, მარტინ ტეილორი, ტოდი, ნ. იოჰანსონი (მაჰოუნი 46), ნაილი, ფლიტკროფტი (თუგაი 56), ბ. ფერგიუსონი, ემერტონი, იორკი (ენდი კოული 46), გალაჰერი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
მიდლსბრო: შვარცერი, ე. დევისი, კუპერი, საუთგეიტი, კედრუ, მენდიეტა, ბოატენგი, დოუნინგი, ზენდენი, ჟუნინიო პაულისტა (გრინინგი 73), მ. რიკეტსი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ფლიტკროფტი, გალაჰერი, ბოატენგი
მსაჯი: ვაილი
25 452 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:1 მანჩესტერ სიტი**

0:1 ფაულერი (14), 1:1 კენა (81), 2:1 ფორსელი (87)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კენა, კანინგემი, აპსონი, ლაზარიდისი, დ. ჯონსონი, სევიჯი, დ. დანი (კიროვსკი 61), კლემენსი (ა. ხისე 89), ფორსელი, მორისონი (ჯონი 61)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
მანჩესტერ სიტი: სიმენი, ჯიხაი, რ. დანი, სომეილი, დისტინი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, კ. რეინა, მაკმანამანი (ტ. სინკლერი 69), ანელკა, ფაულერი (სიბიერსკი 69)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: სევიჯი, აპსონი, ჯიხაი
მსაჯი: რენიე
29 520 მაყურებელი

# აბრამოვიჩის ჩელსური ასიმეტრია

## იხარჯება ფულები, იკარგება ქულები


REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ევერტონი. ნიკი ბათის საგოლე დარტყმა

მთავარი ამბავი, რაც საშობაო ტურში ინგლისში მოხდა, ცხადია, „ჩელსის" დამარცხებაა. ისიც ცხადია, რომ წინა წლებში „არისტოკრატთა" საგარეო წაფორხილებას ამხელა ყურადღებას არ მივაპყრობდით, მაგრამ კლუბის ახალი მეპატრონის, „გასპადინ" რომან აბრამოვიჩის მიერ წინა ზაფხულში დახარჯული ფულის რაოდენობის გათვალისწინებით, „ჩელსის" ახლანდელი მესამე ადგილი წარუმატებლობად შეიძლება მოინათლოს. კლაუდიო რანიერის მარცხს სიმწარე იმანაც შემატა, რომ ჩემპიონობის სხვა ორმა მაძიებელმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „არსენალმა" თავიანთი მატჩები მოიგეს და ისე სჩანს, რომ ჩემპიონობას, წინა წლების მსგავსად, ისევ ეს ორი გუნდი შეეცილება ერთმანეთს.

ახლა ანგარიშები ჩამოვთვალოთ: „ჩელსიმ" 2:4 წააგო „ჩარლტონთან", „არსენალმა" სამი გოლით გაისტუმრა მაჩანჩალა „ვულვერჰემპტონი", „მანჩესტერმა" კი 3:2 მოუგო „ევერტონს".

ნიკი ბათმა, ვინაც დამტვრეული კაპიტნის, როი კინის მაგივრად ითამაშა, პირველი გოლი გაუტანა „ევერტონს". ბათისთვის ეს პირველი გოლიც იყო ამ სეზონში.

ამის მერე გარი ნევილმა დისონანსი შეიტანა თამაშში, როცა საკუთარ კარში ინება ბურთის ჩაჭრა, თუმც კლებერსონმა და დევიდ ბელიონმა კვლავ დაამწუხრეს მომხვდურები. ევერტონელ დანკან ფერგიუსონის გვიანმა გოლმა კი მანჩესტერელებს ველარაფერი დააკლო.


REUTERS ლონდონიდან

ჩარლტონი — ჩელსი. ჩელსელთა კარში გატანილი ყოველი გოლი კლაუდიო რანიერის გულს უკლავდა


REUTERS ლონდონიდან

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 18 | 14 | 1 | 3 | 37:13 | 24 | 43 | 10 | 8 | 1 | 1 | 24:7 | 17 | 25 | 8 | 6 | 0 | 2 | 13:6 | 7 | 18 |
| 2 არსენალი | 18 | 12 | 6 | 0 | 34:12 | 22 | 42 | 9 | 7 | 2 | 0 | 16:6 | 10 | 23 | 9 | 5 | 4 | 0 | 18:6 | 12 | 19 |
| 3 ჩელსი | 18 | 12 | 3 | 3 | 33:16 | 17 | 39 | 8 | 6 | 1 | 1 | 17:7 | 10 | 19 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:9 | 7 | 20 |
| 4 ფულემი | 18 | 8 | 4 | 6 | 30:23 | 7 | 28 | 10 | 5 | 2 | 3 | 16:11 | 5 | 17 | 8 | 3 | 2 | 3 | 14:12 | 2 | 11 |
| 5 ჩარლტონი | 18 | 7 | 6 | 5 | 26:22 | 4 | 27 | 9 | 3 | 3 | 3 | 13:14 | -1 | 12 | 9 | 4 | 3 | 2 | 13:8 | 5 | 15 |
| 6 ნიუკასლი | 18 | 6 | 8 | 4 | 26:21 | 5 | 26 | 9 | 4 | 3 | 2 | 14:5 | 9 | 15 | 9 | 2 | 5 | 2 | 12:16 | -4 | 11 |
| 7 საუთჰემპტონი | 18 | 7 | 5 | 6 | 18:14 | 4 | 26 | 9 | 5 | 1 | 3 | 11:6 | 5 | 16 | 9 | 2 | 4 | 3 | 7:8 | -1 | 10 |
| 8 ბირმინგემი | 17 | 7 | 5 | 5 | 16:19 | -3 | 26 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:12 | -4 | 12 | 8 | 4 | 2 | 2 | 8:7 | 1 | 14 |
| 9 ლივერპული | 17 | 7 | 4 | 6 | 26:19 | 7 | 25 | 9 | 4 | 1 | 4 | 15:12 | 3 | 13 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 12 |
| 10 ბოლტონი | 18 | 5 | 7 | 6 | 18:26 | -8 | 22 | 8 | 2 | 5 | 1 | 8:5 | 3 | 11 | 10 | 3 | 2 | 5 | 10:21 | -11 | 11 |
| 11 მიდლსბრო | 17 | 5 | 6 | 6 | 14:17 | -3 | 21 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:10 | -4 | 9 | 8 | 3 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 12 |
| 12 ასტონ ვილა | 18 | 5 | 6 | 7 | 16:23 | -7 | 21 | 8 | 4 | 3 | 1 | 10:7 | 3 | 15 | 10 | 1 | 3 | 6 | 6:16 | -10 | 6 |
| 13 სიტი | 18 | 5 | 5 | 8 | 25:25 | 0 | 20 | 8 | 2 | 3 | 3 | 13:11 | 2 | 9 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | -2 | 11 |
| 14 ევერტონი | 18 | 5 | 5 | 8 | 22:25 | -3 | 20 | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 5 | 15 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:16 | -8 | 5 |
| 15 პორტსმუთი | 18 | 5 | 4 | 9 | 20:25 | -5 | 19 | 9 | 5 | 0 | 4 | 18:10 | 8 | 15 | 9 | 0 | 4 | 5 | 2:15 | -13 | 4 |
| 16 ბლექბერნი | 18 | 5 | 3 | 10 | 25:29 | -4 | 18 | 9 | 3 | 1 | 5 | 13:15 | -2 | 10 | 9 | 2 | 2 | 5 | 12:14 | -2 | 8 |
| 17 ტოტენჰემი | 18 | 5 | 3 | 10 | 19:28 | -9 | 18 | 9 | 4 | 1 | 4 | 14:13 | 1 | 13 | 9 | 1 | 2 | 6 | 5:15 | -10 | 5 |
| 18 ლესტერი | 18 | 4 | 5 | 9 | 26:29 | -3 | 17 | 10 | 2 | 5 | 3 | 13:13 | 0 | 11 | 8 | 2 | 0 | 6 | 13:16 | -3 | 6 |
| 19 ლიდსი | 18 | 4 | 5 | 9 | 17:37 | -20 | 17 | 10 | 2 | 4 | 4 | 9:15 | -6 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:22 | -14 | 7 |
| 20 ვულვზი | 17 | 2 | 5 | 10 | 13:38 | -25 | 11 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:14 | -7 | 9 | 10 | 0 | 2 | 8 | 6:24 | -18 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შირერი (ნიუკასლი) | 15 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 13 |
| ანრი (არსენალი) | 12 |
| საჰა (ფულემი) | 12 |

### XIX ტური

28 დეკემბერი

ასტონ ვილა — ფულემი
ბოლტონი — ლესტერი
ჩელსი — პორტსმუთი
ევერტონი — ბირმინგემი
სიტი — ლივერპული
მიდლსბრო — მანჩესტერი
ნიუკასლი — ბლექბერნი
საუთჰემპტონი — არსენალი
ტოტენჰემი — ჩარლტონი
ვულვზი — ლიდსი



REUTERS

არსენალი — ვულვზი. ტიერი ანრიმ (მარჯვნივ) დუბლი მიითვალა

ამგვარად, „იუნაიტედმა“ შეინარჩუნა ლიდერობა და თუ აქამდე ერთი ქულით უსწრებდა „ჩელსის“, ახლა ასეთივე უპირატესობა აქვს „არსენალთან“.

სად „არსენალი“ და სად „ვულვზი“ — ამათ თამაშზე, კლასში უზარმაზარი სხვაობის გამო, ასე უნდა ვთქვათ.

„ჰაიბერიზე“ ანგარიში ვულვზელმა ჯოდი კრადოკმა გახსნა ნევილივით საკუთარ კარში ჩაჭრილი გოლით. მაგრამ ესეც რომ არა, ლონდონელები ისედაც არაფერს დააკლებდნენ სტუმრებს, მეტადრე კი ტიერი ანრი, ვინც დუბლი გააზერხა. სხვათა შორის, კრადოკმაც ანრის დარტყმულს უცვალა მიმართულება.

ნამატჩევს კი „მეთოფეთა“ მენეჯერმა არსენ ვენგერმა თქვა, წინა ტურში „ბოლტონთან“ ფრის მერე დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაგვრჩა, ვიცოდით, რომ გაცილებით უკეთ შეგვეძლო თამაში, რაც დღეს მოვახერხეთ კიდეც. „ჩვენ მთელი 90 წუთი მწარედ ვჩხვლეტდით მეტოქეს“ — დასძინა მენეჯერმა.

არსენ ვენგერს სწორედ რომ საამაყოდ აქვს საქმე, რაკილა მისი გუნდი ერთადერთია, ვინც ჯერ არ დამარცხებულა.

დამარცხებული „ჩელსის“ მენეჯერმა კლაუდიო რანიერიმ კი თქვა: „მეორე ტაიმის დასაწყისში რაღაც დაგვემართა და როცა თამაში ისევ გამოვასწორეთ, უკვე ძალიან გვიანი იყო.“

შესვენების მერე რვა წუთში ჩარლტონელმა ჯონათან იოჰანსონმა და ჯეისონ ეუელმა „ჩელსის“ ორი გოლი გაუტანეს, თუმცა არც პირველ ტაიმში დააკლეს. პირველსავე წუთზე ჯერმინ ჰრეიდარსონმა აბრამოვიჩელებს თავური უთავაზა და მართალია, ჯონ ტერიმ მალე გაათანაბრა, მეტ პიონდმა ისევ „ჩარლტონი“ დააწინაურა. ერთი სიტყვით, „ათლეტებმა“ ორივე ტაიმი 2:1 მოიგეს, რამაც ჯამში 4:2 მოგვცა.

ტურის სხვა მატჩებიდან კი უთუოდ აღსანიშნავია ბოლო წუთზე გატანილი ორი გამათანაბრებელი გოლი: ბლექბერნელი მარკუს ბაბელისა და ნიუკასლელი დარენ ამბროსის. ამ გოლებმა მცირედით შეცვალეს ცხრილში ძალთა გადანაწილება.

**ირაკლი ნინიძე**

**I დივიზიონი. XXV ტური**

**კარდიფი 0:1 ულვსოლი**

0:1 ემბლენი (70)

**ქოვენთრი 0:1 შეფილდ იუნ.**

0:1 ლესტერი (56პ)

**ქრიუ 3:1 ბარნსლი**

1:0 ეშტონი (37), 2:0 ჯონსი (55), 2:1 ბლეიქი (89პ), 3:1 ჯონსი (90)

**კრისტალ პალასი 0:1 მილუოლი**

0:1 პარისი (18)

**ჯილინგემი 1:0 უოტფორდი**

1:0 პილსი (56)

**რედინგი 0:3 უიმბლდონი**

0:1 სმოლი (9), 0:2 ლევინგტონი (23), 0:3 მაკანუფი (81)

**სტოკი 1:1 პრესტონი**

0:1 პილი (66), 1:1 იუსტიჩი (90)

**სანდერლენდი 3:0 ბრედფორდი**

1:0 მაკატირი (44), 2:0 სმიტი (67), 3:0 კაილი (82)

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 დერბი ქაუნთი**

0:1 კოშტა (86), 1:1 გაარდსო (90)

**ვესტ ჰემი 1:2 იფსვიჩი**

1:0 დეფო (49), 1:1, 1:2 კუნაგო (70პ, 79)

**უიგანი 1:2 როტერჰემი**

0:1, 0:2 ჰოსკინსი (81, 83), 1:2 ელინგტონი (90)

**ნორვიჩი 1:0 ნოტინგემი**

1:0 სვენსონი (14)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 25 | 14 | 7 | 4 | 37:21 | 49 |
| ვესტ ბრომვიჩი | 25 | 13 | 7 | 5 | 36:22 | 46 |
| შეფილდი | 24 | 13 | 5 | 6 | 38:26 | 44 |
| იფსვიჩი | 25 | 12 | 6 | 7 | 45:35 | 42 |
| სანდერლენდი | 25 | 11 | 8 | 6 | 32:22 | 41 |
| უიგანი | 25 | 11 | 8 | 6 | 34:27 | 41 |
| პრესტონი | 25 | 11 | 6 | 8 | 39:30 | 39 |
| ვესტ ჰემი | 25 | 9 | 11 | 5 | 33:23 | 38 |
| რედინგი | 25 | 11 | 4 | 10 | 29:32 | 37 |
| მილუოლი | 25 | 9 | 9 | 7 | 28:24 | 36 |
| კარდიფი | 25 | 9 | 8 | 8 | 41:33 | 35 |
| ქრიუ | 25 | 10 | 5 | 10 | 32:32 | 35 |
| ულვსოლი | 25 | 9 | 7 | 9 | 27:26 | 34 |
| როტერჰემი | 25 | 8 | 9 | 8 | 24:30 | 33 |
| ქოვენთრი | 25 | 7 | 11 | 7 | 30:31 | 32 |
| სტოკი | 25 | 8 | 6 | 11 | 32:34 | 30 |
| ჯილინგემი | 24 | 8 | 6 | 10 | 29:36 | 30 |
| ნოტინგემი | 24 | 7 | 7 | 10 | 34:33 | 28 |
| ბარნსლი | 25 | 7 | 7 | 11 | 37:46 | 28 |
| კრ. პალასი | 25 | 7 | 7 | 11 | 29:39 | 28 |
| უოტფორდი | 25 | 6 | 8 | 11 | 26:33 | 26 |
| დერბი | 24 | 5 | 9 | 10 | 25:37 | 24 |
| ბრედფორდი | 25 | 4 | 5 | 16 | 19:39 | 17 |
| უიმბლდონი | 25 | 5 | 2 | 18 | 27:52 | 17 |

**II დივიზიონი. XXIII ტური**

ბრენტფორდი — ბრისტოლი 1:2; ბრაიტონი — უიკომბი 4:0; ბლეკპული — ტრანმერი 2:1; ბორნმუთი — პლიმუთი 0:2; ჩესტერფილდი — პიტერბრო 2:1; კოლჩესტერი — ლუტონი 1:1; გრიმსბი — ოლდემი 3:3; პორტვეილი — ბარნსლი 1:2; ნოტსი — ქუინზ პარკი 3:3; რაშდენი — სუინდონი 2:0; შეფილდ უენსდი — პორტ ვეილი 2:3; სტოკპორტი — რექსემი 0:1

**III დივიზიონი. XXIII ტური**

დონკასტერი — სკანთორპი 1:0; ტორკი — სუონსი 0:0; ბოსტონი — ლინკოლნი 0:1; როვერსი — ნორთჰემპტონი 1:2; ბერი — კარლაილი 1:3; კემბრიჯი — საუთენდი 0:1; ჩელტენემი — მაკლსფილდი 3:2; მენსფილდი — როჩდეილი 1:0; ოქსფორდი — ლეიტონი 2:1; იოვილი — კიდერმინსტერი 1:2; იორკი — ჰალი 0:2; დარლინგტონი — ჰადერსფილდი 0:1

**კონფერენს ლიგა. XXIV ტური**

დაგენემი — ალდერშოტი 2:3; ფარნბორო — სტივენეიჯი 2:0; ბარტონი — ტემუორთი 0:1; აკრინგტონი — მორეკემბი 1:0; ჩესტერი — ლეიფი 5:0; ჰალიფაქსი — სკარბორო 1:0; შრიუსბერი — ნორსვიჩი 3:1; უოქინგი — ბარნეტი 2:2; *ტელფორდი — ფორესტ გრინი 1:1-ზე ჩაიშალა, მარგეიტი — გრეივსენდი დღეს გაიმართება*

# დეპორტივოს გაუმარჯოს! სილვამ ასელებს ას-ასი დაუსხა



*გალისიური „დეპორტივოს“ ვეტერანი ბრაზილიელი მაურო სილვა საფეხბურთო ჟამთა ცვალებადობაზე და ლაკორუნიულ გუნდთან შესაძლო დამშვიდობებაზე ალაპარაკდა. ხავიერ ირურეტას სასახელო შეგირდი „რიასორის“ ერთ-ერთი ლეგენდათაგანია და ამიტომ, ბუნებრივია, მის კლუბში დარჩენასაც მთელი იქაური ინჩადაც გულმხურვალედ უჭერს მხარს. მაუროს კონტრაქტი 30 ივნისს უსრულდება და იქამდე, როგორც თავად ამბობს, ამ პრობლემას „დეპორის“ თავკაცობასთან ერთად მოაგვარებს. მადრიდული „ასის“ კორესპონდენტების წინასაახალწლო სტუმრობას ბრაზილიელი შამპანურით სავსე ჭიქით შეეგება*

**— გულშემატკივრებს თქვენი დარჩენა სურთ. როგორ მიდის კონტრაქტის განახლების საქმე?**

— არც პრეზიდენტი და არც კლუბის მმართველი საბჭო „რიასორზე“ თამაშს არასოდეს დამიშლიან, მაგრამ მე ხომ ვიცი, ადრე თუ გვიან „დეპორტივოს“ დატოვება მაინც მომიწევს. ყველაფერი სენიორ ლენდოიროსთან მოლაპარაკებისას გადაწყდება. მარადიული ამქვეყნად არაფერია და მათ შორის არც ჩემი საფეხბურთო ჯანმრთელობა. რამდენ ხანსაც დავრჩები, პირობას გაძლევთ, ქომაგები უნდილად მობურთალ სილვას ვერ იხილავენ.

**— დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე სეუ მაუროს გუნდიდან წასვლა ცოტა უცნაურია. ძალიან კარგ ფორმაში ხართ...**

— მინდა, ხალხმა სწორედ ასეთი დამიმახსოვროს. მაშინ, როდესაც მსჯელობას დაიწყებენ, ღირს თუ არა კლუბში ჩემი დატოვება, ძალიან გვიან იქნება.

**— „ასის“ ჟურნალისტებს ახალი წელი წინასწარ მიულოცეთ. ეშმაკურ კითხვას დაგისვამთ — მორიგი სადღეგრძელოთი „რიასორიდან“ წასვლას გაუმარჯოს თუ „დეპორთან“ თანამშრომლობის გაგრძელებას?**

— „დეპორტივოს“ მომავალში დიდ გამარჯვებებს ვუსურვებ. მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვა მართლაც ეშმაკური იყო, ჯერჯერობით ვერაფერს დამტყუებთ, გადაჭრით ჰოს ან არას თქმა გამიჭირდება.

**— სხვა კლუბებიდან თუ გაქვთ რაიმე შემოთავაზება?**

— ელიტური გუნდის წევრს სარფიანი წინადადებები არ აკლია და მეც ხშირად მიკავშირდებიან. თუმც ყატარისა და იაპონიის მარშრუტებს ევროპულზე მეტად ვსწავლობ.

**— ესე იგი, ევროპა გამორიცხულია...**

— ჩემს კლუბს თუ დავტოვებ, ეს ფიზიკურ პრობლემათა გამო მოხდება. აბა, დაფიქრდით — იტალიაში, ინგლისში ან საფრანგეთში კვლავაც ჯოჯოხეთური ტემპის ატანას შევძლებ? ნაკლებადმნიშვნელოვანი ჩემპიონატი — კი, ბატონო. ერთი-ორი წლით იქ ბურთაობა კარგი დასვენების ტოლფასია.

**— რას გაიხსენებდით ძველი „დეპორის“ ამბებიდან...**

— გალისიელ სპორტულ ჟურნალისტთა მხრიდან გამხნევების ხერხი მსოფლიოში უნიკალურია. კლუბში რომ ჩავირიცხე, საშინლად ვღელავდი. ერთი მელოტი, სქელი ძია (მერე გავიგე ჟურნალისტი ყოფილა) ჩემთან მოვიდა და დამრიგებლურად მითხრა: - დაწყნარდი, ჯერ ასაღელვებელი არაფერი გაქვს. ნახავ, ნერვების გლეჯა წაგებული თამაშების შემდეგ როგორ გამოგადგება! ხომ წარმოგიდგენიათ, რარიგ „დამამშვიდეს?“ „დეპორტივო“ სიგიჟემდე მიყვარს, წინასწარ იმის გაფიქრებაც კი მზარავს, აქედან გამგზავრების მერე რაოდენ მძიმე ნოსტალგიასთან მომიწევს გამკლავება.

**— „რიასორი“ კი აღიარებულ ლიდერს დაკარგავს...**

— რახან არ მეშვებით, საიდუმლოს გაგიმხელთ — „რიასორს“ 2004-ში ალბათ არ ემუქრება მსგავსი ტრაგედია.

**— ანუ...**

— ჩათვალეთ, რომ გუნდში თუ დავრჩი, ჭიქასაც პირთამდე შევავსებ და მოედანზეც მთელი მონდომებით დავიხარჯები.

**— რომელი ჯილდოს მოგება გსურთ?**

— ჩემპიონთა თასის. ამითაც თუ დავტკბები, მაშინ თავისუფლად შევძლებ სპორტული ღღიურის დახურვას. მსოფლიოს საუკეთესო საკლუბო ჯილდო ჩემი ოცნებაა.



# მათ ეგონათ, რომ ყველაფერი დასრულდა

*მართლაც რას არ მოიგონებს კაცი... თუ ინგლისელია. **BBC**-ის რადიომ მოაწყო გამოკითხვა, რომლის ლოზუნგი, ლაიტმოტივი, თემა, კითხვა თუ, რაც გნებავთ ის, იყო ასეთი: „მათ ეგონათ, რომ ყველაფერი დასრულდა“*

ერთი სიტყვით, რამდენადაც ვხვდებით, ამ გამოკითხვის მონაწილე ფართო საზოგადოებრიობას უნდა ჩამოეთვალა ისეთი მოვლენები, სადაც საქმე გადაწყვეტილად ან ერთი მხარის სასარგებლოდ იყო და შეირენაირად მოტრიალდა, როგორც, ეს, ვთქვათ, 1999 წელს, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ შეხვედრაში მოხდა. შეგახსენებთ, რომ ბარსელონაში გამართული ეს შეხვედრა ჩემპიონთა ლიგის ფინალი გახლდათ, რომლის ბოლო წუთზეც კი გერმანელები 1:0-ს იგებდნენ, საბოლოოდ კი 1:2 წააგეს. ბარემ აქვე ვიქვათ, რომ ეს მოვლენა, ინგლისელების აზრით, წარსულში მომხდარ ამბავთა შორის მეექვსე იყო.

ცხადია, რომ BBC-ს მსმენელებმა ინგლისთან დაკავშირებით ჩამოთვალეს ის შემთხვევები, როდესაც საქმე მათ სასიკეთოდ შემოტრიალდა და კიდევ დავძინოთ, რომ გამოკითხვას ვერ მოუსწრო მორაგბეთა მსოფლიოს თასმა, თორემ ჯონი უილკინსონი, ვინ იცის, როგორ შეცვლიდა რეფერენდუმის შედეგებს.

ხოლო პირველ ადგილზე და თან მნიშვნელოვანი უპირატესობით გავიდა ფეხბურთელთა 1966 წლის მსოფლიოს პირველობაზე ინგლისელთა მიერ გერმანელების 4:2 ძლევა. მოგეხსენებათ, ის ჩემპიონატი ინგლისში გაიმართა, „უემბლიზე“ ჩატარებული ხსენებული მატჩი კი ფინალი იყო.

სულ BBC-მ ასი მოვლენა დაახარისხა. ასივეს ჩამოთვლა და გამეორება „სარბიელის“ არაინგლისელი მკითხველისთვის მაინცდამაინც საინტერესო არ არის. ამიტომ ყველაფერი უფრო მოკლედ მიმოვიხილოთ.

მეორე ადგილზე 1981 წლის კრიკეტის ამბავი გავიდა, იან ბოთემმა თავისიანებს „ფერფლის ტესტი“ რომ მოაგებინა — თუ რაიმე სწორად ვერ ვთქვით, ქართველ მოკრიკეტეებთან ბოდიში მოგვიხდია. მესამეობა დიდ ნიჩბოსან ოლიმპიელს სტივ რედგრეივს ერგო, უფრო სწორად იმ ამბავს, 2000 წლის ოლიმპიადაზე როგორ მოიგო მეხუთედ ოლიმპიური ოქრო. მეოთხე გახდა ინგლისის ნაკრების მიერ მიუნხენში 2001 წელს გერმანიის ნაკრების 5:1 განადგურება. როგორც მიხვდით ლაპარაკია ფეხბურთზე, თუმცა რა შუაშია აქ „მათ ეგონათ, რომ ყველაფერი დასრულდა“, ცოტა გაუგებარი დაგვრჩა და ვინმე ინგლისელს დახმარებას ვთხოვთ. კერძოდ, როდის ეგონათ ინგლისელებს, რომ ყველაფერი დასრულდა, თამაშამდე? თუ ასეა, კარგი და, რა ეგონათ რა დასრულდაო, რას ამბობდნენ? სულ ყველაფერიო?

მეხუთე მოვლენად შეირაცხა მუჰამედ ალის მიერ 1974 წელს ჯორჯ ფორმენის გვემა, მეექვსეზე კი უკვე გითხარით და ასე შემდეგ...

...მეათემდე, რომელსაც მთელი მსოფლიო „ღმერთის ხელს“ უწოდებს. მეთორმეტე დევიდ ბექემის საჯარიმო დარტყმაა ბერძნების კარში, ხოლო ოცდამეთერთმეტე ერიკ კანტონამ მაყურებელს კუნგ ფუს ილეთი რომ გაუჭიმა ყბაში.

მეასე ადგილის გასწვრივ ასე წერია: ლესტერი პიგოტის მოგებული მეცხრე დერბი 1983 წელს.

**პაპუნა ძიდია**










# რაულის სამოთხე ოჯახია, ღმერთი მარადონა

*რაულ გონსალეს ბლანკოს თავის კარიერის დასრულება „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაუწყვეტია და სამეფო გუნდიდან სხვაგან გადასვლას არ აპირებს. მზარდი პოპულარობის მიუხედავად, კასტილიელთა შვიდიანი ცდილობს, მედიაში მასზე ატეხილ აურზაურს, რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიაქციოს და ოჯახით დატკბეს. ყოველ შემთხვევაში, რაულმა ამის შესახებ არგენტინულ „ოლესადმი“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა*




**— როგორ შეაფასებდით თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობას?**

— მხოლოდ დადებითად. ვფიქრობ, რომ რაც დრო გადის, ჩემი, როგორც მოთამაშის თვისებები უფრო იხვეწება. გატანილი გოლები, საგოლე გადაცემები და კიდევ მრავალი სხვა სასარგებლო რამ... „რეალის“ სკოლამ უდიდესი გამოცდილება შემძინა.

**— არასოდეს გიფიქრიათ კასტილიური გრანდის მიტოვებაზე?**

— ამ საკითხის შესახებ სერიოზულად არც ადრე მისაუბრია და არც მომავალში ვაპირებ. რა თქმა უნდა, წინასწარ ვერ გეტყვით, შემდგომში რა მოხდება, მაგრამ მუდამ მადრიდის „რეალის“ შემადგენელი ნაწილი მინდა ვიყო.

**— ანუ „ელ გალაქტიკო“ თქვენი ცხოვრებაა...**

— აუცილებლად. რაც შეეხება თქვენს მიერ ნახსენებ ტერმინს, საბედნიეროდ თუ საბედისწეროდ, „რეალი“ ამას ვერასოდეს მოიცილებს. საქმე ისაა, რომ ქება-დიდებას, თუნდაც მართებულსაც ზიანის მოტანაც შეუძლია. ჩვენს „გალაქტიურებად“ და „ვარსკვლავებად“ მონათვლას თან მოჰყვა უძლეველობის მითი. ინჩასთა აზრით, გუნდმა საერთოდ აღარ უნდა წააგოს არც ერთი შეხვედრა, „რეალში“ კი ზებუნებრივი ძალის მქონე ჯადოქრები არ თამაშობენ.

**— მაშინ, კლუბს შარავანდედი ჩამოვაშოროთ და მისი რეალური ძალა განვიხილოთ...**

— თუ ყველა ჩვენი მობურთალი შესაბამის ფორმაში იმყოფება, მსოფლიოს ნებისმიერ გუნდს კასტილიურ ფლაგმანთან მოსაგებად მართლაც ბედი და ფანტასტიკა დასჭირდება. უკანასკნელ სეზონთა განმავლობაში ფლორენტინო პერესმა „ბერნაბეუზე“ შესანიშნავი მოთამაშეები მოიყვანა თუმცა, ჩვენთვის, რასაკვირველია, არსებობს ცუდი და უიღბლო მატჩებიც.

**— სახელ-დიდების ნაკლებობას არც ადრე განიცდიდით, მაგრამ თქვენმა პოპულარობამ ბოლო ჟამს ჭეშმარიტად მწვერვალს მიაღწია. როგორ ახერხებთ ასეთ ვითარებაში სიმშვიდის შენარჩუნებას?**

— ამქვეყნად ერთი პატარა სამოთხე არსებობს, სადაც თქვენ წარმოიდგინეთ „რეალთან“ დაკავშირებული პერიპეტიები რაულზე ნაკლებად მოქმედებს, ეს სამოთხე ჩემი ოჯახია. შვილებთან და მეუღლესთან მარტოდ დარჩენილი, საფეხბურთო აღმასვლას თუ დაცემას ყოველთვის უფრო ფხიზელი თვალით ვუყურებ. ვცდილობ, არ ვიყო დამოკიდებული მავანი ჟურნალისტის ქებაზე, ან თუნდაც ძაგებაზე.

**— ვინ არიან თქვენი საფეხბურთო კერპები?**

— ალფრედო დი სტეფანო და დიეგო მარადონა. რამდენი ათწლეულიც უნდა გავიდეს, ყოველთვის ძველებურად გაიბრწყინებენ. ბედნიერი ვარ, რომ ორივეს პირადად ვიცნობ.



# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

## კროკოს საახალწლო გრაფიკი: წლევანდელი ბოლო სამუშაო დღე – 30 დეკემბერი. მუშაობა განახლდება 9 იანვარს

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. კონფერენსი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **27 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 126 | მარგეიტი-გრეივსენდი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **27 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 130 | პარტსი-მოზერუელი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 131 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1,12 | 6,5 | 15,0 | 1 | 1,04 | 4,53 |
| | 132 | სელტიკი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,35 | 4,0 | 4,4 | | | |
| 19.00 | 133 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 134 | ლივინგსტონი-აბერდინი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 135 | პარტიკი-დანფერმლაინი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **28 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 136 | დანდი-რეინჯერსი | 10,0 | 5,0 | 1,25 | 3,33 | 1,11 | 1 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **27 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 138 | ეარი-რეითი | 2,35 | 3,3 | 2,6 | 1,37 | 1,23 | 1,45 |
| 19.00 | 139 | ბრეჩინი-კლაიდი | 4,2 | 3,5 | 1,7 | 1,9 | 1,21 | 1,14 |
| 19.00 | 140 | ინვერნესი-სტ.ჯონსტონი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,33 | 1,23 | 1,53 |
| 19.00 | 141 | ქუინი-ფოლკირკი | 2,35 | 3,4 | 2,5 | 1,38 | 1,21 | 1,44 |
| 19.00 | 142 | სტ.მირენი-როსი | 2,35 | 3,3 | 2,6 | 1,37 | 1,23 | 1,45 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. XVII ტური** | | | | | | |
| | | **27 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 145 | ისტ ფაიფი-არბროთი | 1.8 | 3,5 | 3,4 | 1,18 | 1,17 | 1,72 |
| 19.00 | 146 | ფორფარი-ბერიკი | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 147 | სტენჰაუზმური-ერდრი | 2,6 | 3,5 | 2,2 | 1,49 | 1,19 | 1,35 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XVII ტური** | | | | | | |
| | | **27 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 150 | კოუდენბითი-პიტერჰედი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 19.00 | 151 | გრეტნა-ისტ სტირლინგი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| | | **შოტლანდია. თასი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **27 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 153 | სტრანრარი-ჰამილტონი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **28 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1029 | სლავია-კარლოვი ვარი | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| 20.00 | 1030 | ზლინი-ზნოიმო | 1,85 | 4,2 | 2,8 | 1.28 | 1,11 | 1,68 |
| 20.00 | 1031 | ვიტკოვიცე-პლზენი | 1,6 | 4,6 | 3,5 | 1,18 | 1,09 | 1,98 |
| 20.00 | 1032 | პარდუბიცე-ვსეტინი | 1,25 | 5,6 | 6,5 | 1,02 | 1,04 | 3 |
| 20.00 | 1033 | ლიტვინოვი-ტრჟინეცი | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 20.00 | 1034 | ბუდეიოვიცე-კლადნო | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 20.00 | 1035 | ლიბერეცი-სპარტა | 2,45 | 4,2 | 2.05 | 1,54 | 1,11 | 1,37 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **28 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1039 | ზვოლენი-ნიტრა | 1,22 | 5,3 | 7.0 | 1 | 1.03 | 3,01 |
| 20.00 | 1040 | ჟილინა-პოპრადი | 1,5 | 4,4 | 4,2 | 1,11 | 1,1 | 2,14 |
| 20.00 | 1041 | მარტინი-ტრენჩინი | 3,5 | 4,4 | 1,6 | 1,94 | 1,09 | 1,17 |
| 20.00 | 1042 | სლოვანი-სკალიცა | 1,4 | 4,4 | 5,0 | 1,06 | 1,09 | 2,34 |
| 20.00 | 1043 | კოშიცე-მიკულაში | 1,3 | 5.3 | 6,0 | 1.04 | 1,06 | 2,81 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


**სარბიელი სამუშაოდ იწვევს**

**გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს**

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 39- 40-08


4 იანვარს ყველა მოქალაქეს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოს მომავლის მშენებლობაში ამისათვის მონაწილეობა უნდა მიიღოთ საპრეზიდენტო არჩევნებში

* * *

**საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით :**

- აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენას;
- ამომრჩეველს შეუძლია დაიცვას საკუთარი არჩევანის კონფიდენციალურობა;
- საარჩევნო კანონმდებლობის დამრღვევ პირს დაეკისრება საარჩევნო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა;

**ჩვენი მომავალი ჩვენს ხელშია!**

IRI USAID საონს

### კითხვარი

სახელი, გვარი ..........................................

ტელეფონი ....................

jirve[illegible]U rigSiU r[illegible] [illegible]gv re [illegible] Tx vdiTU jre[illegible]ide[illegible]

- ☐ ტერიტორიული მთლიანობა
- ☐ სოციალური პრობლემების გადაწყვეტა
- ☐ კორუფციის აღმოფხვრა
- ☐ დასაქმება
- ☐ სხვა: ____________________

(თითოეულ კვადრატში ჩაწერეთ რამდენად აქტუალურად მიგაჩნიათ თითოეული პრობლემა 1-დან 5-მდე ქულა. ყველაზე აქტუალური 1, ყველაზე ნაკლებ აქტუალური – 5)

კითხვარი შეგიძლიათ მიიტანოთ მაცნეს საგაზეთო ჯიხურებში 4 იანვრამდე. კითხვარების მიხედვით მოხდება გათამაშება. გათამაშდება კინოთეატრ "ამირანის", "რუსთაველის" და "თეატრალური სარდაფის" ბილეთები. იმისათვის რომ მიიღოთ მოგებული პრიზები აუცილებლად უნდა გქონდეთ მონაწილეობა მიღებული 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში. გათამაშება ჩატარდება 6 იანვარს საონს-ის ოფისში 15:00 საათზე. მის: რ. თაბუკაშვილის 17 (სასტუმრო "მერიოტი თბილისის" უკან)


**რეკლამა სარბიელ–ში**

**Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80**

# 2003

# პირველი ამბების დასტა































| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 7 | 3 | 3 | 1 | 13:11 | 12 |
| რუსეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 16:11 | 11 |
| ირლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 11 |
| ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 11.15 | 8 |
| საქართველო | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |



# ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა, კურტანიძეს ათენის ოქრო

**2003 წელი ქართული ჭიდაობისთვის განსაკუთრებით ხვავიანი გამოდგა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად გავხდით მსოფლიოს გუნდური ჩემპიონები, ელდარ კურტანიძე კი პირველი ქართველია მსოფლიოს ოქრო ორჯერ რომ მოუგია. ქართველ გულშემატკივართა გულების გამხარებელ ფალავანს ერთადერთ ოცნებად ოლიმპიური ჩემპიონობა რჩება და ოცნების ბოლო შანსად ათენის ოლიმპიადას მიიჩნევს. გვჯერა, ასეც იქნება და საბერძნეთიდანაც ოქრო ჩამოვა, თუმც ათენამდე დიდი დროა. ქვემორე ინტერვიუ კი ვეცადეთ, უფრო საახალწლო განწყობისა ყოფილიყო**

— 2003 წელს ალბათ ყოველთვის ტკბილად მოიგონებთ...

— ეს წელი მართლაც გამორჩეული იყო ჩემთვისაც და მთელი საქართველოსთვისაც. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში არის ყოფითი პრობლემები, რომელთა დავიწყებასაც ცდილობს, ამის საუკეთესო საშუალება კი სიხარულია. მსოფლიოს ჩემპიონატის მეორედ მოგებით მე ხომ გავიხარე და ცხოვრების სტიმული მომეცა და, ხალხიც ხომ გავაბედნიერე.

**— ყველაზე ძვირფას საჩუქარზე არ გკითხავ, ის ხომ საკუთარ თავს თვითონ გაუკეთე...**

— ნიუიორკული გამარჯვება დიდი ხნის ტიტანური შრომის შედეგი იყო. დაახლოებით 15-20 წლის შრომამ მოსავალი ამ შემოდგომას მოიტანა. ქართული ჭიდაობის წარმატებას ვგულისხმობ. ასეთი სეზონი ნებისმიერი დიდი ქვეყნისთვის საოცნებოა. ყოველივე კი პირველ რიგში, ერთად დგომამ შეგვაძლებინა.

**— მსოფლიოს მოგების გარდა, წლეულს რომელი დღეები იყო შენთვის დასამახსოვრებელი?**

— ახლახან სამების ეკლესიის თავზე ბრწყინვალე ჯვარი აღმართეს. მან საუკუნეებს უნდა გაუძლოს, მე კი მქონდა ბედნიერება, მანამდე ამ ჯვართან ახლოს ვყოფილიყავი. ვეამბორე კიდეც და ეს გრძნობა არასოდეს დამავიწყდება. გარდა ამისა, ოლიმპიურმა კომიტეტმა წლის საუკეთესო სპორტსმენად დამასახელა. ჩემს ცხოვრებაში იყო რამდენიმე კრიტიკული მომენტი და ამ დროს ბევრმა იმედი გამიცრუა. ოლიმპიური კომიტეტისა და პირადად ჯანო ბაგრატიონისგან კი გვერდში დგომას ყოველთვის ვგრძნობდი და ასეა დღესაც. მათი მხარდაჭერა ჩემთვის დამატებითი სტიმულია. და ბოლოს, წლის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა — ვარდების რევოლუცია. მას ხალხი უდიდესი იმედით ელოდა და ღმერთმა ქნას, ახალი საქართველოს შენების რწმენა არ დაგვეკარგოს. 2003 წელი ძალიან კარგი იყო, 2004 კი უკეთესი უნდა გამოდგეს.

**— თუ გახსოვს, ვინ იყო შენი ოჯახის მეკვლე?**

— ორი წელია, საახალწლოდ პირველი ჩვენს ოჯახში კარის მეზობელი, პატარა გიორგი კობახიძე შემოდის და მსოფლიოს ოქროები მოაქვს. იმედია, ახლაც ასე იქნება. სხვას არავის შემოვუშვებ.

**— თვითონ თუ დადიხარ მეკვლედ და როგორი ფეხი გაქვს?**

— ცოტა ვერიდები, მერე რომ არაფერი დამაბრალონ.

**— ვარჯიშების განახლებამდე წინ საზეიმო დღეებია. თუ მისცემ თავს მამაპაპურად ქეიფის უფლებას?**

— საერთოდ არ ვთვრები. მსმელი არა ვარ, რადგან ზედმეტ გადატვირთვასაც ვერიდები. მინდა, სპორტული კარიერის ბოლო აკორდი წარმატებული იყოს. ოლიმპიური ოქროთი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის ტიტულებს გვირგვინი უნდა დავიდგა.

**— ესე იგი, მოჭიდავეებში მსოფლიოს ჩემპიონატი სმაში რომ ჩატარდეს, სპორტული ტიტული შეიძლება ვერ დაიცვა?**

— ქეიფი და დროსტარება არ მეშლება. მოლხენაც ვიცი, მაგრამ სიმთვრალე არ მიყვარს და მსგავსი შეჯიბრიც ხომ არ ჩატარდება? სპორტსმენებისთვის ეს ცოტა ძნელია. თან ქართველი გულშემატკივარიც მაქსიმალისტია და მისთვის მთავარი შედეგია. გამოგიტყდებით, კვირაში 2-3-ჯერ კი ვსვამ, მაგრამ მარტო დედაჩემის მიერ გამოგზავნილ ადესის სუფთა ღვინოს, ისიც ზომიერად, ტონუსის ასამაღლებლად.

**— მეორედ გაჩემპიონებით კიდევ უფრო მეტად პოპულარული გახდი. ალბათ, ხალხის პატივისცემასაც გრძნობ.**

— რა თქმა უნდა, და ეს მეტ სტიმულს მაძლევს, ვიცხოვრო, გავიმარჯვო და სიკეთე ვთესო.

ისე კი, ბოლო დროს ხელოვნებასაც ვეზიარე და უფრო მხიარულ ცხოვრებასაც გავუსინჯე გემო. ერთ-ერთ ქართულ სერიალში მსახიობობაც ვცადე, საახალწლოდ კი სულაც ერთი ახალი მუსიკალური კლიპი გამოვა, რომელშიც რეპერის ამპლუაში გადამიღეს. ასეთი გართობა თავისთავად სასიამოვნოა, და იცი, რა არის მთავარი, ხელოვან ხალხთან ურთიერთობამ სიამაყის გრძნობა გამიათმაგა. მათგან იმხელა სითბო და სიყვარული ვიგრძენი, ცამდე ავმაღლდი.

**— დალევაზე კი თქვი, მაგრამ თამადობაზე როგორა ხარ?**

— მიუხედავად იმისა, რომ არ ვსვამ, თამადობა კარგად გამომდის. სუფრა მიყვარს და სუფრაზე ბევრიც მისწავლია. როცა არ თვრები, ყველაფერს იმახსოვრებ. ადამიანის ფსიქოლოგია ზეპირად ვიცი და ამ ამბავში ჩემგან კარგი დამკვირვებელიც დადგება. საერთოდ კი, 7-8 ჭიქის შემდეგ, ერთი და იგივეს ხუთჯერ გამეორებას რომ იწყებენ, ხშირად გაცლას ვამჯობინებ ხოლმე.

**— საყვარელი სადღეგრძელო?**

— პირველი ჭიქა, ღმერთის დიდება და ქვეყნის მშვიდობა. მგონი, ამ სადღეგრძელოს ვერცერთი შეედრება.

**— ახალ წელს სად შეხვდები?**



„სარბიელს" ბევრი კარგი ამბის წერას, დიდ ტირაჟს და მკითხველის სიყვარულს, ხალხს კი წარმატებასა და ჯანმრთელობას ვუსურვებ!

— ეს ახალი წელი, როგორც ყველა ქართველისთვის, ჩემთვისაც განსაკუთრებულია. ამიტომ მის არაჩვეულებრივად შეხვედრას ვაპირებ. პირველ ჭიქას ალბათ სახლში ავწევ, შემდეგ კი რუსთაველზე გავალ და ხალხში გავერევი.

**— რაიმე განსაკუთრებული საახალწლო ტრადიციაც ხომ არ გაქვს?**

— გამორჩეული არაფერი, ნაცნობმეგობრებში მისვლა-მოსვლა ჩვეულებრივი ამბავია და სხვებთან შედარებით მეტსაც ვასწრებ. ხომ ხედავთ, არდათრობას სასიკეთოდ ვიყენებ.

**— შენი საყვარელი კერძი საახალწლო სუფრაზე...**

— ვერც საცივს გამოვარჩევ და ვერც გოზინაყს. ისე, კარგად გაფორმებული და ლამაზი სუფრა უფრო მომწონს.

— 2004 წლის მთავარი სურვილი კი ვიცი, მაგრამ მაინც გკითხავ.

— ოლიმპიური ოქრო — წყალი არ გაუვა. გარდა ამისა, მშვიდობა ქვეყანაში და ჯერჯერობით აუხდენელი ოცნების ახდენა, საქართველოს გაერთიანება.

**— დაბოლოს, რა სადღეგრძელოს ეტყვი „სარბიელს" და მის მკითხველს?**

— ოლიმპიადის წელი მოდის. „სარბიელს" ბევრი კარგი ამბის წერას, დიდ ტირაჟსა და მკითხველის სიყვარულს, ხალხს კი წარმატებასა და ჯანმრთელობას ვუსურვებ. თუ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, ბედნიერებაც გარანტირებულია. ყველა ახალი ცხოვრების დაწყებას ელის, მათ შორის, მეც. ღმერთმა ქნას, ჩვენი იმედი გამართლდეს და საქართველო აყვავების გზას დაადგეს.

**ოთარ გაღლაძელიძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**

# ვიქტორიას მიჯაჭვული ამირანი ფრანგ ქართველებს თბილისური ვარდების სჯერათ



*მეშვიდე წელია, ამირან ჯაოშვილისა და მშვენიერი ვიქტორია რავას ვარსკვლავური წყვილი შობა-ახალწელს ლაჟვარდოვან სამხრეთ საფრანგეთში ხვდება. ფრენბურთელთა ოჯახი სწორედ ამდენი ხანია, კანში ცხოვრობს და ამ კინოქალაქში ბომონდურ ცოლ-ქმრადაც ითვლებიან. ვიქტორია „კანში" თამაშობს და წლეულს მიჯრით მეორედ გახდა ევროპაში საუკეთესო ფრენბურთელი ქალი. ამირანი კი კანის მახლობლად აჟაქსში ამავე სახელის კლუბშია. შობის მეორე დღეს სპორტის ფერია ვიქტორიასა და ამირანს კანში დავუკავშირდით. შობანათევი წყვილი შინ ისვენებდა და საახალწლოდ ემზადებოდა*



— შობას სად შეხვდით?

**ამირანი**: სახლში შევხვდით მე და ვიკა, მაგრამ მარტონი არ ვყოფილვართ, საკმაოდ სტუმრიანი საღამო გვქონდა. ჩემი და ვიკას თანაგუნდელები შეიკრიბნენ და ჩვენთან ერთად მოილხინეს. საერთოდ, საფრანგეთში შობა ოჯახური დღესასწაულია, ყველა ცდილობს, შინაურ გარემოში აღნიშნოს.

**ვიქტორია**: იმის გამო, რომ მხოლოდ ოთხდღიანი შვებულება გვაქვს, „კანის" ლეგიონერები თავიანთ ქვეყნებში ჩასვლა-ჩამოსვლას ვერ ასწრებენ და კანში რჩებიან. მეც ასე ვარ და ამირანიც. შობას უკრაინელი, ჩეხი, რუსი და ჩინელი თანაგუნდელები მოვიდნენ და საკმაოდ ნასიამოვნებიც დარჩნენ.

**— ქართული კერძებიდან რა შესთავაზეთ სტუმრებს?**

**ვიქტორია**: საერთოდ სამზარეულოში ტრიალი არ მიყვარს და მთლად კარგი კულინარიც ვერ ვარ. სტუმრებს საცივი და ხაჭაპური შევთავაზე, რაც ყველაზე კარგად გამომდის. საცივზე ფრანგები და დანარჩენი თანაგუნდელებიც აფრენენ. ყოველთვის აღნიშნავენ, განსაკუთრებული კერძიაო.

**ამირანი**: შობას ვიკას მშობლები ჩამოვიდნენ და მათაც შეგვაშველეს ქართული კერძები. ისე კი ზუსტად არ მახსოვს როდის, მაგრამ ჩემი და ვიკას გუნდელები ქართულ სუფრაზე დავპატიჟეთ და აღფრთოვანებულები დარჩნენ. ყველაფერი იყო, შემწვარი გოჭით დაწყებული, სალათებით დამთავრებული.

**— საშობაო სუფრას ალბათ ქართული ღვინოც ამშვენებდა.**

**ამირანი**: სამწუხაროდ, არა. თბილისიდან მომაქვს ხოლმე ასე 5-6 ბოთლი ქართული ღვინო, მაგრამ, ცხადია, მალევე ისმევა.

**— რომელ ღვინოს ანიჭებთ უპირატესობას?**

**ამირანი**: ქართულებიდან „ხვანჭკარას" და „ალადასტურს". ფრანგულებიდან კი „ბორდო" მომწონს ძალიან.

**ვიქტორია**: უნდა მნახო, როგორ ვუშრობ აქაურებს სისხლს. საკმარისია ღვინოზე ჩამოვარდეს ლაპარაკი და ეგრევე ვაგიჟებ ფრანგებს. მე ვეუბნები რომ მეღვინეობის აკვანი საქართველოა, ისინი კი პატარა ბავშვებივით ვარდებიან, მოაქვთ ათასნაირი ლიტერატურა და მიმტკიცებენ რომ საფრანგეთში ღვინის დაყენება გაცილებით ადრე დაიწყეს.

— ამ დავაში ვინ იმარჯვებს?

— უმეტეს შემთხვევაში ჩვენ.

— და მაინც, ფრანგული ღვინო სჯობს ქართულს?

— არა, მე ქართული ღვინოები მომწონს.

**— ახალ წელს სად შეხვდებით?**

**ამირანი**: ოცდათერთმეტში გრენობლში სპორტის ყველა სახეობაში საფრანგეთის საუკეთესო კაც და ქალ სპორტსმენებს დაასახელებენ. რადგან ვიკა საფრანგეთის მოქალაქეა, თავის ნომინაციაში ისიც არის და დიდი შანსი აქვს საუკეთესო გახდეს. ამ გალა-დაჯილდოვების შემდეგ იქვე მთებში ავალთ. კურორტ პლანიაში მე, ვიკა და რამდენიმე მეგობარი შევხვდებით ახალ წელს.

**ვიქტორია**: დარწმუნებული ვარ, ძალიან ნასიამოვნები დავრჩებით, მყუდრო, ლამაზი კურორტია.

**— ძველით ახალ წელს აღნიშნავთ?**

— რა თქმა უნდა. მიზეზი იყოს და... მე, ერთი უკრაინელი და რუსი გუნდელი შევიკრიბებით და თითო ჭიქით დავილოცებით.

**— მეშვიდე წელია, შობა-ახალ წელს საფრანგეთში ხვდებით. არ მოგენატრათ ქართულად მოლხენა?**

**ამირანი**: ძალიან, მაგრამ ცხოვრებამ მოიტანა ასე და რას იზამ.

**ვიქტორია**: ვერ წარმოიდგენთ, როგორ მენატრება საქართველო... ნათესავები, მეგობრები, ქართული მუსიკა, ცეკვა და ქეიფი.

**— საახალწლოდ ქართველ ხალხს რას უსურვებთ?**

**ამირანი**: მშვიდობას და დალხენილ ცხოვრებას.

**ვიქტორია**: დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალყურს ბოლო დროს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. აქაური ტელევიზია კარგად აშუქებდა ამ ყველაფერს — სხვათა შორის, ფრანგები ძალიან ქომაგობდნენ რევოლუციას. რაღა დაგიმალოთ და მეც გამიხარდა „ვარდების რევოლუცია". დიდი იმედი მაქვს, მომავალი ახალი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ფეხზე დააყენებს ქვეყანას. ამასთან ძალიან მინდა, საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს. ამ შემთხვევაში ორმაგი მოქალაქეობის მიღების უფლება მექნება. მინდა, საქართველოს მოქალაქეობაც მქონდეს. მე ვერასდროს გავხდები ფრანგი. გლდანში გავიზარდე, ყველაფერი კარგად მახსოვს და ამით ყველაფერი ნათქვამია.

**ბაჩო სვანიძე**



ამირანი და ვიქტორია კანის კინოფესტივალზე



საქმის მერე მოლხენა და გაბოლებაც ალალია



# ელდარ კურტანიძე: პირველი ორგზის!



მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება ძნელია, ტიტულის შენარჩუნება კიდევ უფრო ძნელი. მაგრამ ეს არ ითქმის ელდარ კურტანიძეზე. ნიუ იორკი და სექტემბერი ალბათ კიდევ დიდხანს ეხსომება ქართველ თავისუფალი სტილის მოჭიდავეს. ელდარმა თავისი ოქროთი არა მარტო პირადი, არამედ გუნდური ოქროც მოინაგრა. თან ყველა მეტოქეს ისე გაუსწორდა, მცირედი შანსიც კი არავის დაუტოვა.



# ველოდით ? რასაკვირველია!

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ლამის ცეკვა-ცეკვით გასულმა ოზურგეთელმა მანუჩარ კვირკველიამ გადამწყვეტ შეხვედრაში ტაქტიკა შეცვალა და გულშემატკივრებთან ერთად ნაკრების მწვრთნელი ბეგი დარჩიაც გვარიანად ანერვიულა, თუმც გონს მალევე მოეგო და ბრწყინვალე გამარჯვებაც იზეიმა. მისმა ოქრომ საქართველოს გუნდური ჩემპიონობაც მოუტანა.

# ბორჯღალოსნები ავსტრალიაში

დამოუკიდებელი საქართველოს სპორტულ ისტორიაში ბურთიან სათამაშო სახეობებში მორაგბეთა ნაკრებმა ჯერჯერობით ერთადერთმა შეძლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში. იცოცხლეთ, კარგი კი იქნებოდა, საახალწლო სუფრასთან ჩვენების ერთი სამსოფლიოსთასო გამარჯვება მაინც დაგველოცა, მაგრამ ურუგვაიმ ოდენ მტყუან-მართლის ძიებაღა შეგვატოვა.

ოთხიდან ოთხი მარცხი, ავსტრალიის სამხრეთ მარგალიტის, პერთის ქვიშიან სანაპიროზე ნებივრობა, სიდნეის განთქმული ზოოპარკის მონახულება და ერთი ისტორიული ლელო, ასეთია მწვანე კონტინენტიდან დაბრუნებულ ბორჯღალოსანთა მონაგარი.



# ძიუდოს ნაკრებს ევროპაში ძვრა ვერ უყვეს

ქართველმა ძიუდოისტებმა ერთხელაც დაამტკიცეს, რომ ეს საქმე სხვებზე უკეთ იციან. ინგლისში, ევროპის გუნდურ პირველობაზე რის ვაივაგლახით წასულები ვერც მეტოქეთა წინააღმდეგობამ გატეხა, ვერც მსაჯების არაობიექტურობამ. ფინალურ ოთხთა ტურნირში ჯერ მასპინძლები გააკრეს ტატამს, შემდეგ ესპანელები და ევროპის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეორედ მოიგეს.





# ორევუარ, კლოდ!

ორევუარ — საფრანგეთიდან შემოთვალა ბორჯღალოსანთა ფრანგმა გურუმ კლოდ სორელმა და ნამსოფლიოსთასარ შეგირდებს ნებით გაეცალა.

ასე დასრულდა სორელის ექვსწლიანი ეპოქა. ეპოქა, რომელმაც ევროპის ერთა თასი და თაობათა ოცნება — მსოფლიოს თასზე გასვლა დაიტია. სორელმა საქართველოს ნაკრები გზაზე დააყენა და შორს გაახედა, ეგაა, თავად სხვა გზას დაადგა.

სორელი ამბობს, საქართველოდან მხოლოდ კარგი მოგონებები მიმყვება და ყოველთვის თქვენი დიდი ქომაგი ვიქნებიო. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მადლობა ვუთხრათ მას და სიკეთე ვუსურვოთ.

ორევუარ, კლოდ!

# კაცური საქმე

ზურაბ აზმაიფარაშვილმა ევროპას ქართული ჭადრაკის ძველი დიდება გაახსენა



# ფაჩულია: ქართველი NBA-ში შკვე სამია



ქართული კალათბურთისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ზაზა ფაჩულიასთვის 2003 წელი ნამდვილად ოცნების ახდენისა იყო. სტამბოლის „ულქერში“ გამოზრდილი ქართველი გოლიათი დრაფტის დასალიერში აიყვანა „ორლანდო მეჯიქმა“. დიდი მონდომებისა და მიზანსწრაფვის ხარჯზე 19 წლის ფაჩულიამ ჯერ ადგილი დაიმკვიდრა რჩეულთა შორის, ახლა კი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ქართველობისთვის ხორკლიან ნბა-ს მოედნებზე. ფაჩულიამ ალავერდი ნბა-ში შარშან მოხვედრილ ნიკა ცქიტიშვილისგან გადაილოცა და ვლადიმერ სტეფანიასთან ერთად შეიქნა მე-3 ქართველი, პლანეტის უმძაფრესი საკალათბურთო ლიგა რომ დააჭაშნიკა.



# ვნახოთ

მრავალწლიანი სიბნელის შემდეგ წლეულს ქართულ კალათბურთში უცხო მზის ნაპერწკალი შემოიჭრა. ადრეგაზაფხულზე თბილისში ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელი, ხორვატი დრაჟენ ბრაიკოვიჩი ჩამოიყვანეს, რომელსაც ჩვენი კალათბურთის აბურდულ მეურნეობაში უკეთ გასარკვევად ჩემპიონი „დინამოც“ ჩააბარეს. ბრაიკოვიჩი რიგიანი თეორეტიკოსი ჩანს და თუ პრაქტიკაშიც გვაჩვენებს საკუთარ ძალას, პოტენციით ბევრის შემძლე ჩვენმა ნაკრებმა ეგებ, მართლაც აალაპარაკოს ბებერი კონტინენტის საკალათბურთო წრეები.

# უქმე წელიწადი



წლეულს გიორგი ასანიძემ და მისმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა იუქმეს. ტრავმიანობის გამო გიორგიმ და საქართველოს ნაკრების დანარჩენმა წევრებმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები გამოტოვეს.







# მარადიული სპორტი
## წლები წავლენ და წამოვლენ, ქალები დარჩებიანო



რაკიღა მადლიერ მკითხველთან შეხვედრას მხოლოდ ორიოდ კვირის შემდეგ ვგეგმავთ, გვსურს, საიმორკვირაოდ ის რიგიანი განწყობით შევამარაგოთ. ეგ მით უფრო, რომ ეს-ესაა მორიგი მძიმე, ინფორმაციით გადატვირთული სეზონი გადავაგორეთ და ახლა ერთი სული გვაქვს, ლხენასა და განტვირთვას მივეცეთ.

თქვენში ადეკვატური, დასტურ საახალწლო ემოციების გამოსაწვევად კი სპორტსმენ მდედრთა შიშველი სხეულების გამოფენა ვარჩიეთ.

ზოგიერთ ამათგანს თქვენც იოლად ამოიცნობთ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ უახლოესი დღეების განმავლობაში სამშობლოში დიდი ბახუსიანობაა მოსალოდნელი, ფოტოებისთვის სახელ-გვარის მითითება ალბათ მაინც მიზანშეწონილი უნდა იყოს.



მაშ ასე: ყველაზე ძუძუმძიმე ცნობილი გერმანელი მოფიგურსრიალე კატარინა ვიტია, ქალი, ვინაც სპორტსმენ ქალთაგან პირველმა დაგვანახვა ის, რასაც ქალები მხოლოდ თავიანთ მეგობარ კაცებს ანახვებენ ხოლმე.

პროფილში ყელმოღერებული და სლავურად მკერდშემართული რომაა, ეგ განთქმული რუსი ტანმოვარჯიშე სვეტლანა ხორკინა გახლავთ.



თითი პირში უდევს ყოფილ (ასევე რუს) კალათბურთელსა და აწ კი ენტევეს სპორტულ მიმომხილველ იულია ბორდოვსკიხს. მაცდურად წაოთხფეხებულა და ბაბილონელი მეძავივით დასაუფლებლად გიხმობთ სიგრძეში მხტომი გერმანელი სიუზენ ტიდტკე. ეს შპაგატში გამჯდარი თვალჟუჟუნა ქალი კი რუმინელი ტანმოვარჯიშე კორინა უნგურეანუა, ხოლო იოლანდა ჩენს, სახელიან რუს მძლეოსანსა და ენტევესავე სპორტულ კომენტატორს იმით ამოიცნობთ, რომ ბარაქიანი სხეული თოკით გაუძაგრავს და ეშხიან ფეხებზეც ამმძუვნებელი აჟურული კოლგოტები ამოუცვია.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge